ეგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

№2

თბილისი
2019

UDC (უაკ)332.2. ა.243

აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

ISSN 1987-6335

აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

2019 №2(43)

საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
ყოველკვარტალური რეფერირებული
ჟურნალი

Agrarian-economic Science and Technologies

2019 №2(43)

International Sientific-
Methodological and Applied,
Quaterly Referenced Journal

Аграрно-экономическая наука и технологии

2019 №2(43)

Международный научно-
методологический и практический,
ежеквартальный реферированный
журнал

ჟურნალი დაფუძნებელია და გამოდის
2008 წლიდან, ყოველკვარტალურად

Journal was Founded in 2008
and is issued quarterly

599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com

www. gaas.dsl.ge

თბილისი- Tbilisi

2019

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო–სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბაღათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოღუაშვილი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

მარტინ აპენბრიკი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

დ.ეგიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმმ აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, მ.ჩავლეიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

O. Keshelashvili

Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences.

Editorial-scientific Board:

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G. Japaridze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, N. Chkhartishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze.

Foreign members of Editorial–Scientific Board:

Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia), Aleksei Sizonov (Ukrain), Ian Piculi (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepiarczyk (Poland),Chaba Chaki (Hungary), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

Publishing Board

D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskhishvili-Academic doctor, N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

1.აგრარული ეკონომიკა
Agrarian Economy

სოფლის მეურნეობის ოპტიმალური და მდგრადი განვითარების მოდელირება

ომარ ქეშელაშვილი-
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურენობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

აღნიშნულია, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ამოცანის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ოპტიმალური და მდგრადი განვითარების მოდელირება. ამ ამოცანის გადაჭრამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულად დასაბუთებული და პერსპექტივისათვის გამიზნული ეკონომიკური მექანიზმის სრულიად ახალი, პროგრამული მოდელის შექმნას, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული პროგრამების დამუშავება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადგილობრივი მოსახლეობის, ტურისტთა და დამსვენებელთა სურსათით სტაბილური უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები და კონკრეტული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, რაც დამყარებული იქნება სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურების სრულყოფასა და საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებაზე, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმირების მომგებიან ფუნქციონირებაზე.

დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაციის ამოცანა და მისი გადაწყეტის თანამიმდევრობა.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ამოცანის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ოპტიმალური და მდგრადი განვითარების მოდელირება. მისი აქტუალობა, დიდი მნიშვნელობა და გადაუდებელი საჭიროება გამომდინარეობს იქედან, რომ ამოცანის

გადაჭრამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულად დასაბუთებული, გა–მართული და პერსპექტივისათვის გამიზნული ეკონომიკური მექანი–ზმის სრულიად ახალი, პროგრამული მოდელის შექმნას და მის სისტემურ სრულყოფას, რასაც ამჟამადაც და უახლოეს წლებშიც დიდი სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული მნისშვნელობა ენიჭება.

საერთაშორისო სტანდარტებით, ქვეყნის უშიშროება საფრთხე-შია თუ კვების იმპორტული პროდუქტების წილი 30-%-ს აღემატე–ბა. ამ ასპექტით საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება ეკონომი–კური და კერძოდ სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკულ პარამე–ტრებს, რომლის ძირითადი მიზეზი არსებული პრობლემებისა და შესაძლებლობების არარაციონალური და დიდი ხარვეზებით გამოყე–ნებაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება, ქვეყნის ეკონომიკისა და აგრარული სექტორის მყარი განვითარების მიზნით, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, გამოყენებითი ხასიათის, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული პროგრა-მის დამუშავება, რომელიც იქნება ფუნდამენტურ-გლობალური, მი-ზნობრივ-სტრატეგიული, მარკეტინგულ-მოტივაციური, ვარიანტულ-ოპტიმიზირებული, ეკონომიკურად უსაფრთხო, სოციალურად ორიე-ნტირებული და სამართლებრივად უზრუნველყოფილი.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული პრ-ოგრამების დამუშავება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადგი-ლობრივი მოსახლეობის, ტურისტთა და დამსვენებელთა სურსათით სტაბილური უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები და კონკრე-ტული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, რაც დამყარებული იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტუ-რების სრულყოფასა და საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის რა-ციონალურ გამოყენებაზე, სოფლად ახალი ორგანიზაციულ-სამარ-თლებრივი ფორმირების ეკონომიკურად მომგებიან ფუნქციონირება-ზე, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მართვის სრულ-ყოფილი, ინსტიტუციონალურად უზრუნველყოფილ ეკონომიკურ მექ-ანიზმზე, საექსპორტო-საიმპორტო ბალანსის სწორ დაცვაზე, საწა-რმოო ინფრასტრუქტურის დონის მნიშვნელოვნად ამაღლებაზე, მყარ სამართლებრივ გარანტიებზე.

ამის შედეგად, ეტაპობრივად იქნება მიღწეული საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქციის მქონე სახელ-მწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება, რასაც ლოკალურ მნიშვნე-ლობასთან ერთად დიდი საგარეო-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

ამ პრობლემის გადაწყვეტა თანამედროვე გააზრებას, პროგრესულ მეცნიერული არსენალის მიზანმიმართულად გამოყენებას მოითხოვს, რისი ერთ-ერთი საფუძველიც მრავალვარიანტული და მრავალფაქტორული გათვლები უნდა გახდეს. ეს გათვლები კი შეუძლებელია ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული პროგრამის დამუშავებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგების გაადგილებისა და შეთანაწყობის ისეთი მოდელის აგება, რომელიც ბაზრის ცვალებადი კონიუქტურის პირობებში უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობას, ტურისტებს და დამსვენებლებს ადგილობრივი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტებით, ხოლო კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის დარგებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

ამ მნიშვნელოვანი პრობლემის რეალიზაციისათვის აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

— ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და ტერიტორიული გაადგილების პრინციპების შესწავლა და საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით ახლებური მიდგომების დამუშავება;

— სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და ახალ პირობებში მისი განვითარების პერსპექტივების დასახვა;

— ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა;

— იმ პრიორიტეტული დარგების გამოყოფა, რომელთა განვითარებაც უნდა იყოს ქვეყნისათვის სტრატეგიული, საბაზრო ეკონომიკის პირობებში:

— სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმ მოცულობების განსაზღვრა, რომელთა წარმოებაც ამ რაოდენობით ქვეყნისათვის მომგებიანია:

— საიმპორტო-საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა მოცულობების დადგენა;

— სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმ მოცულობის განსაზღვრა, რომელთა წარმოებაც აუცილებელია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის;

— გადამმუშავებელი მრეწველობის იმ დარგების გამოვლენა, რომელიც აფერხებენ ამა თუ იმ დარგების განვითარებას და რომელთა გასაფართოებლადაც საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა.

ეს არის ის ძირითადი მეთოდური მიდგომა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სოფლის მეურნეობის დარგების ოპტიმალური და მდგრადი განვითარების ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს.

სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების პროცესების ოპტიმალური და მდგრადი მართვისათვის საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მასთან ფუნქციურად დაკავშირებული კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის დარგების, ბაზრის მოთხოვნების და ექსპორტ-იმპორტის ერთობლიობაში განხილვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ამოცანა შეიძლება დავსვთ შემდეგნაირად:

მოვახდინოთ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპიმალური გაადგილება, დარგთა შეთანაწყობა და სპეციალიზაცია კვების და გადამმუშავებელი დარგების, გასაღების ბაზრების და ექსპორტ-იმპორტის მოცულობის გათვალისწინებით, ამასთან, დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნები, ფიზიოლოგიური ნორმებით, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და მიღებულ იქნას მაქსიმალური შემოსავალი.

ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

1. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგება;
2. საწყისი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
3. პერსონალურ კომპიუტერზე ოპტიმალური სტრატეგიის გათვლა;
4. ეკონომიკური ეფექტიანობის გათვლა და დასაბუთება.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი შედგება მიზნის ფუნქციისა (ეფექტიანობის კრიტერიუმი) და შეზღუდვებისაგან. შეზღუდვები, სოფლის მეურნეობაში არსებულ ეკონომიკურ პირობებსა და შესაძლებლობებს ასახავს, ხოლო კრიტერიუმებად აღებულ უნდა იქნას მოგების მაქსიმუმი, საერთო პროდუქციის მაქსიმუმი, სასაქონლო პროდუქციის მაქსიმუმი, დანახარჯების მინიმუმი და სხვა.

ძირითადი შეზღუდვები შემდეგი სახისაა:

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბალანსი;
2. სახნავი მიწის ფართობთა ბალანსი;
3. სასოფლო-სამეურნეო რესურსული პოტენციალის ბალანსი;
4. მეცხოველეობის საკვები ბაზის ბალანსი;
5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა ბალანსი;
6. გადამმუშავებელი საწარმოების სიმძლავრეთა ბალანსი;
7. ბაზრის მოთხოვნათა ბალანსი;

8. საექსპორტო-საიმპორტო მოცულობათა ბალანსი.

ამასთან აუცილებელია, რომ თითოეულ დარგში წარმოებული პროდუქცია არ შეიძლება არც შესაძლებელ მინიმუმზე ნაკლები და არც შესაძლებელ მაქსიმუმზე მეტი იყოს.

კონკრეტული ამოცანის პირობებიდან გამომდინარე შესაძლოა შეზღუდვების რაოდენობა გაიზარდოს ან შემცირდეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური და მდგრადი განვითარების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის პრაქტიკული რეალიზაციისათვის მეტად მნიშვნელოვანია რაიმე საწყისი ინფორმაციის მოპოვება და პროგნოზირება. საწყისი ინფორმაცია შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

ა) ძირითადი (მოსავლიანობა, პროდუქტიულობა);

ბ) საწარმოო (მექანიზებული და ხელით შრომის დანახარჯები,მატერიალურ-ფულადი დანახარჯები და სხვა);

გ) რესურსული პოტენციალი (მიწის რესურსი, შრომითი რესურსი და სხვა).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური განვითარების ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს საწყისი ინფორმაციის დასაბუთებულ პროგნოზირებას, რომლის ერთ-ერთი მეთოდია ეკონომიკური პარამეტრების ექსპერტული შეფასება. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (ექსპერტები) გასული წლების, მოწინავე საწარმოების გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების ანალიზის საფუძველზე ახდენენ ეკონომიკური პარამეტების პროგნოზირებას.

უახლესი პერსპექტივის ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირებისათვის გამოიყენება შედარებით მარტივი და გამოსაყენებელად მოხერხებული, წრფივი ექსტრაპოლაციის მეთოდიასევე დიდ ინტერესს იწვევს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირება მრავალფაქტორული საწარმოო ფუნქციების გამოყენებით. საწარმოო ფინქციებს დამოუკიდებელი ცვლადების რეგრესიის სახე აქვთ.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკური პარამეტრების (მოსავლიანობა, პროდუქტიულობა) პროგნოზირებას საწარმოო ფუნქციების გამოყენებით, საფუძვლად უდევს კორელაციური ანალიზი.

მრავალფაქტორული საწარმოო ფუნქცია შეიძლება იყოს:

1) წრფივი
2) კვადრატული
3) ზომა-დეგლასის

საწარმოო ფუნქციის პარამეტრები შეიძლება გათვლილ იქნას უმცირეს კვადრატთა მეთოდით.

საწარმოო ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირება შეიძლება მოხდეს კორელაციური ფუნქციების გამოყენებით. კორელაციური ფუნქციები შეიძლება იყოს როგორც წრფივი ასევე არაწრფივი.

რესურსული ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მიწის ფონდის ტრანსფორმაცია. ნიადაგის ეროზია და სხვა, ხოლო შრომითი რესურსების პროგნოზირებისას მოსახლეობის შესაძლებელი მიგრაცია, საზონური სამუშაო ძალა და სხვა.

ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია ტრენდის გამოყენება ანუ პროგნოზირება ბიჯობრივი გზით. სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას წრფივი, პოლოინომური და ლოგარითმული ანუ ექსპონენციალური ტრენდი.

ამოცანის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგებისა და საწყისი ინფორმაციის მოპოვებისა და პროგნოზირების შემდეგ აუცილებელი ხდება მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია პერსონალურ კომპიუტერზე. ოპტიმალური სტრატეგიის გათვლისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სტანდარტული პროგრამა-(LPX-88), რომელიც საშუალებას იძლევა ამოვხსნათ წრფივი პროგრამირების ამოცანები, რომელთა ზომებიც არ აღემატება განსაზღვრულ ნორმებს. დიდი ზომის ამოცანების გადაწყვეტისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას MATLAB-ში არსებული პროგრამები.

ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრების გათვლის შემდეგ აუცილებელია მიღებული სტრატეგიის ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება.

აგრარულ სექტორში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევა, სოფლის მეურნეობის ოპტიმალური და მდგრადი განვითარების ეკონომიკური პარამეტრების მიღწევა დიდად არის დამოკიდებული საწარმოო რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, მათი ეფექტიანობის ამაღლებაზე, რაშიც გადამწყვეტი როლი, კონკრეტული მეცნიერული რეკომენდაციების მეშვეობით, აგრარული სექტორის ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის კომპლექსურად გამოყენებამ უნდა შეასრულოს.

აგრარული წარმოების ოპტიმიზაციის ამოცანა

ამჟამად, საქართველოს წინაშე ბევრი მწვავე, აქტუალური და სტრატეგიულ-პრიორიტეტული პრობლემა დგას, რომელთა გადაწყვე-

ტამ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს წარმოების ეკონომიკურ ზრდაზე.

ამ პრობლემებიდან მასშტაბურად და პრინციპულად გამოიკვეთა სასოფლო-სამეურენო წარმოების ოპტიმიზაციის, რაციონალიზაციისა და მდგრადი განვითარების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც წამოჭრა ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა დისპროპორციებმა, საწარმოო-რესურსული პოტენციალის განსაზღვრულობამ და მისი მაქსიმალური უკუგებით ამოქმედების საჭიროებამ, ამასთან, მოსახლეობის სოციალური სიტუაციის რადიკალური ცვლილების აუცილებლობამ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა, თავისი მცირემიწიანობის მიუხედავად ძალზე მრავალფეროვანი და ზონების მიხედვით მკვეთრად განსხავავებული ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორებითა და პირობებით ხასიათდება. ყოველივე ეს, აგრარული სექტორის რაციონალური, მდგრადი, დინამიური და შეწონასწორებული განვითარების თვალსაზრისით დიფერენცირებულ მიდგომასა და გათვალისწინებას მოითხოვს.

ამას ემატება საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოტივაციები და მოთხოვნები, რომლითაც განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროფილი, პრიორიტეტული მიმართულებები, მასშტაბები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად, სრულიად ახლებურად, ძალზე პრინციპულად და აქტუალურად დგება საკითხი იმის შესახებ, რომ აგრარული სექტორის თითოეული დარგის განვითარება და რესურსულ-პროდუქტიული პოტენციალის რაციონალური გამოყენება უნდა ეყრდნობოდეს წარმოების ოპტიმიზაციასა და მისი მდგრადობის უზრუნველმყოფ ეკონომიკურ მექანიზმს.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობა, დიდი მნიშვნელობა და მისი გადაწყვეტის გადაუდებელი საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ როგორც მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები მიიჩნვენ დანახარჯები წარმოებაზე შეიძლება შემცირდეს წარმოების დიდი მოცულობის პირობებში, სხვადასხვა სახეობის საქონელზე სამომხმარებლო მოთხოვნის გათვალისწინებით.

ამის შესაბამისად, ჩვენს მიერ დასმული ამოცანის გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს და გადამწყვეტი გავლენა იქონიოს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაციაზე, წარმოების რაციონალიზაციაზე, ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ეფექტურ გამოყენებაზე, წარმოების სპეციალიზაციისა და მასშტაბების სწორად განსაზღვრაზე და გასაწევი დანახარჯების ამის შესაბამისად დარე-

გულირებაზე, რომელიც დაეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებულ და გამართულ ეკონომიკურ მექანიზმს, რაც ამჟამადაც და უახლოეს წლებშიც დიდი სახელმწიფოებრივი, სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა.

ამ პრობლემის გადაწყვეტა, ახლებურ და პროგრესულ მიდგომას მოითხოვს, რომლის დროსაც მომარჯვებული უნდა იყოს თანამედროვე და სრულყოფილი მეთოდოლოგიური არსენალი და რამაც უნდა უზრუნველყოს ახალი, ოპტიმიზირებულ-დიფერენცირებული ტიპის ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის პარამეტრებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული პოზიცია ადასტურებს და ნიშანდობლივს ხდის პრობლემის დამუშავების აქტუალობას, ორიგინალობას, აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

პრობლემის სიახლე, მისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და წვლილი აგრარულ სფეროში არსებული ამოცანების გადაწყვეტაში განისაზღვრება იმით, რომ მისი დამუშავების შედეგად საქართველოში პირველად, საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებისა და არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაცია, საწარმოო-რესურსული პოტენციალის გამოყენების რაციონალიზაციის საფუძველზე და განისაზღვრება დარგის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი, როგორც ეკონომიკურ-ორგანიზაციული რეკომენდაციების სისტემა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაციის ამოცანა უნდა გადაწყდეს შემდეგი თანამიმიმდევრობით:

- დამუშავდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების მოტივაციური საფუძვლები, მისი განსაზღვრისა და დადგენის მეთოდოლოგიური მიდგომები, შესაბამისი კრიტერიუმები, ფაქტორები და მათი კლასიფიცირებული სისტემა;
- დადგინდება და შეფასდება სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტიური დონე, დარგობრივი სტრუქტურა, ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები, ჩატარდება მრავალფაქტორული კორელციურ-რეგრესიული ანალიზი;
- განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზნის ფუნქცია, შედგება განვითარების ოპტიმიზირებული მოდელი, საწარმოო-რესურსული და პროდუქტიული პოტენციალის გამოყენების რაციონალიზაციის საფუძველზე, დადგინდება შესაბამისი სარეკომენდაციო პარამეტრები;

- დამუშავდება ოპტიმიზირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების პროგნოზული პარამეტრული რეკომენდაციები და მისი უზრუნველყოფის ეკონომიკური მექანიზმი.

საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის მორგებული ანალოგიური კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები ჯერ არ დამუშავებულა, ამიტომ, კვლევის საწყის ეტაპზე პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მოტივაციური საფუძვლები და გამოიკვეთოს მეთოდოლოგიური მიდგომები, მოხდეს პროექტში ასახვისათვის გამიზნული ძირითადი მაჩვენებლების, პარამეტრების, შეზღუდვების, ნორმებისა და რეკომენდაციების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია,

კვლევის შედეგების რეალიზაციით მიღწეული იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია, რის საფუძველზეც სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მ.შ. ფერმერულ მეურნეობებს, საშუალება ეძლევათ დასაბუთებულ მეცნიერულ და დიფერენცირებულ სარეკომენდაციო ბაზაზე დაყრდნობით მიზნობრივად, რაციონალურად და ეფექტურად გამოიყენონ სოფლის მეურნეობის განვითარების თითოეული ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორი, ჩამოაყალიბონ ოპტიმალური დარგობრივი და რეგიონული სტრუქტურები, მორგებულად აამოქმედონ ეკონომიკური მექანიზმის ცალკეული ბერკეტი და საბოლოო ჯამში მიღწეული იქნეს სოფლის მეურნეობის სტაბილური ეკონომიკური ზრდა, ამის შედეგად კი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

Modeling of Sustainable and Optimum Development of Agriculture

O. Keshelashvili-
Doctor of Economic Sciences, professor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Abstract
(Internet Version)

The article deals with the importance of modeling of sustainable and optimum development of Agriculture when addressing the problem of food safety. It should support development of a new, progressive and scientifically proven model of economic mechanism which will have significant strategic importance.

Working out of food safety strategic programs will provide an opportunity to define main directions and technical-economic parameters of food supply for local population, tourists, and holiday-makers, and which will be based on rational use of potential of different fields of agriculture and effective functioning of organizational and law –enforcement bodies.

The problem of optimization of production of Agriculture, as well as the ways of its effective solution is raised in the article.

პრობლემები, რომლებიც აგრარული სფეროს განვითარებას აფერხებს

მანანა შალამბერიძე-
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოსირებული პროფესორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

განხილულია აგრარულ სფეროში არსებული გარკვეული პრობლემები, რომლის მოგვარებისთვის სახელმწიფო და ამ სფეროს წარმომადგენლები ცდილობენ მოძებნონ გზები, სადაც წამყვან ადგილს დაიჭერს კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგი, გლეხური, ფერმერული მეურნეობები, კოოპერატივები და კოოპერაციული გაერთიანებები, რისთვისაც სასურველია მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების ღონისძიებების გატარება. კერძოდ: ფულადი სახსრების რეზერვებზე მკაცრი კონტროლის დაწესება, სამართველო დანახარჯების ზრდის შემცირება. ეს უკანასკნელი, ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ტენდენციის შემცირებას გამოიწვევს, რაც მოითხოვს ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ცალკეული რეგიონის მიხედვით. ამან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური აღმავლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების გადიდება და მათი ცხოვრების დონის აღმავლობა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმთავრესი ამოცანა და მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყნის აგრარული პოტენციალის გამოყენებას, ამ დარგში შექმნილი და რეალიზებული პროდუქტის მოცულობის ზრდას და სტრატეგიული პროექტების ინიცირებას.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყნაში, აგრარულ სფეროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ არსებობს გარკვეული პრობლემები. რომლის მოგვარებისთვის სახელმწიფო და ამ სფეროს წარმომადგენლები ცდილობენ მოძებნონ გზები. სადაც წამყვან ადგილს დაიჭერს კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგი, გლეხური, ფერმერული მეურნეობები, კოოპერატივები და კოოპერაციული გაერთიანებები.

ამ მეურნეობების მიზნობრივი და ეფექტური განვითარება დღის წესრიგში აყენებს აგროსერვისის სრულყოფის, სოფლად ერთიანი ინფრასტრუქტურის სამსახურის შექმნის საკითხს, რომელმაც უნდა განახორციელოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, მათი შეკეთება, მექანიზებული სატრანსპორტო,

სამონტაჟო და აგროქიმიური სამუშაოების შესრულება და სხვა. უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამქირავებელი პუნქტები, გაფართოვდეს მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და მოტობლოკების წარმოება. ამასთან, მნიშვნელოვანია მეურნეობის საწარმოო მიმართულების სწორი განსაზღვრა და დარგთა შეთანაწყობა. ფერმერებმა კონცენტრაცია უნდა მოახდინონ იმ პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც მეტ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

საქართველოში აგრარულ სფერო მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. პროდუქტიულობა ძალზე დაბალია.

ქვეყანაში ხანგრძლივი, მაღალი დონის სიღარიბის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია სავარგულების საერთო რაოდენობის 42%-ით შემცირება.

სოფლის მეურნეობის თითქმის უცვლელი მდგომარეობა მშპ-ში რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების ნაკლებობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა.

აგრარულ სფეროში შექმნილი რთული ვითარებისა და პრობლემის მოგვარების მიზნით, სასურველია მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების ღონისძიებების გატარება, კერძოდ: ფულადი სახსრების რეზერვებზე მკაცრი კონტროლის დაწესება, სამართველო დანახარჯების ზრდის შემცირება, ეს უკანასკნელი, ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ტენდენციის შემცირებას გამოიწვევს, რაც მოითხოვს ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ცალკეული რეგიონის მიხედვით. ამან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური აღმავლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემო-სავლების გადიდება და მათი ცხოვრების დონის აღმავლობა.

აგროარული სფეროს ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დადგენა რთული და მრავალმხრივია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა. ასეთ პირობებში საჭირო ხდება შიდა რესურსების მაქსიმალური მობილიზება, რომლის თავმოყრა და რეალიზაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ, გადაუდებელი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური რესურსების სწორი შეფასება და მისი რეალიზაციის შესაძლებლობათა სრული გამოვლენა. უნდა შემუშავდეს ახალი აგრარული პოლიტიკა, რომელშიც უნდა აისახოს ეკონომიკური გარდაქმნების

გლობალურ პროცესში სოფლის მეურნეობის როლი, მისი განვითარების მიზანი, სტრუქტურა, აგრარული წარმოების პოტენციალის უფრო სრულად ამოქმედების ურთიერთგანმპირობებელი ფაქტორები, კერძო და სახელმწიფო სექტორის, მცირე, საშუალო საწარმოებისა და მსხვილი სამეურნეო სისტემების განვითარება, სოფლის მეურნეობის გაადგილების და სპეციალიზაციის სრულყოფა და სხვა.

სწორედ ეს არის საჭირო იმისათვის, რომ აგრარულ სეფეროში რესურსული პოტენციალის ფორმირებით, განაწილებითა და რაციონალური გამოყენებით არსებული პორბლემა ნაწილობრივ მოგვარებადი იქნება.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმთავრესი ამოცანა და მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყნის აგრარული პოტენციალის გამოყენებას, ამ დარგში შექმნილი და რეალიზებული პროდუქტის მოცულობის ზრდას და სტრატეგიული პროექტების ინიცირებას.

Problems that aggravate the development of the agricultural sector

Manana Shalamberidze-
Akaki Tsereteli State University. Associated Professor

Abstract
(Internet version)

There are some problems in the agro sector. The state and the representatives of this area are trying to find ways to regulate them. Where the leading position will be found in different fields of food and processing industries, peasant, farmers, cooperatives and cooperative unions. For which it is desirable to carry out the demand and supply of balancing measures, namely: to impose strict control over cash reserve and to reduce the growth of Georgia's expenditures, which will lead to a decrease in the tendency of joint demands that require rational use of existing resources in the country The need to evaluate the way, the rational use of the economic resources of the economy according to individual regions, which should provide economic growth, creation of new jobs, increase population revenues and real growth of their life

In conclusion, we would like to say that the main task of the Ministry of Agriculture is to facilitate the utilization of the country's agrarian potential to increase the volume of the product created and realized in this sector.

2. ეკონომიკა და ბიზნესი
Economics and Business

გადასახადები და მათი როლი ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში

მ. ლუარსაბიშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
მ. ლომიშვილი - აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი

„ყველა ვალდებულია, რომ გადასახადი გადაიხადოს და მერე თუნდაც მოკვდეს“
ბ.ფრანკლინი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

სტატიაში განხილულია გადასახადების როლი ეკონომიკის გა–ნვითარებაში. მოცემულია გადასახადების მარეგულირებელი ფუნ–ქციის არსი და როგორც ფისკალური პოლიტიკის ნაწილი. გაანალი–ზებულია საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით გათვა–ლისწინებული გადასახადების სისტემა, რომელიც მოიცავს 5 საე–რთო-სახელმწიფოებრივ გადასახადსა და ერთ ადგილობრივ გადა–სახადს. აღინიშნულია, რომ ქვეყანაში შემოღებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტორე–ბისათვის, ასევე ბიზნესის წარმართვის დაწყებისა და განვითა–რებისათვის მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა.

თითოეული ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვნად განსა–ზღვრავს მისი საგადასახადო სისტემა, რომელიც ზუსტად ასა–ხავს ბიუჯეტის ოდენობას, იმას თუ რამდენად თავისუფალია ეკონომიკა და რამდენადაა მარტივი ამ ქვეყანაში ინვესტიცი–ების შეტანა.

აღსანიშნავია ის, რომ თანამედროვე საგადასახადო სისტე–მამ ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა. კაცობრიობას არ ახსოვს, რომ რომელიმე სახელმწიფოს გადასახადების გარეშე ეარსება. სახელმწიფოებისა და ერების განვითარებასთან ერ–თად ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა საგადასახა–დო სისტემები.

ნებისმიერ ქვეყანაში, მიუხედავად ეკონომიკური განვითა–რების დონისა, დღის წესრიგში ყოველთვის იდგა ფინანსური რესურსების, მისი შესაბამისობისა და განაწილება-გადანაწი–ლების პრობლემა, რომლის რეგულირებაში დიდია საგადასა–ხადო პოლოტიკის როლი. საგადასახადო პოლოტიკის რეა–ლიზება წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, რომლითაც გათვალისწინებულია გა–დასახადები და მათი სახეები, გადასახადების სუბიექტე–ბი,ობიექტები,საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთები, საგადა–სახადო შეღავათები, გადასახადების ჩარიცხვის წესები შესაბა–მისი დონის ბიუჯეტში და საგადასახადო სამართალდა–რღვევებთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.

ქვეყნის საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური პრო–ცესების რეგულატორი უნდა იყოს, აუცილებელია უზრუნვე–ლყოფილ იქნეს საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასი–ათებელი ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების რე–ალიზება და შეთანწყობა.

ცნობილია, რომ გადასახადები ორ ძირითად ფუნქციას ას-რულებს; ფისკალურსა და მარეგულირებელს. ფისკალური ფუნქცია ვლინდება გადასახადის სახელმწიფო რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია საერთო შემოსა–ვლების გამოთანაბრება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება; ეკონომიკის ხელსეწყობა და სტიმულირება.

გადასახადები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დარგობრივ, შიდა დარგობრივ, დარგთაშორის და რეგიონულ დონეზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა აგებულია საზღვარგარეთის განვითარებული საბა–ზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალი–სწინებით და ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, მისი ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემა ძირითადად ჩამოყალიბდა 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, რომლესაც საფუძვლად დაედო მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

"საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების დაწესების, შეცვლის, გაუქმების და გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოების და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობილიობას."

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ერთდროულად განსაზღვრავს საქართველოში მოქმედ ადგილობრივ და საერთო-სახელმწიფოებრივ (ცენტრალიზებულ) გადასახადებს, განსაზღვრავს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესებს და ახორციელებს ამ გადასახადების შემოღებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ადგილობრივ გადასახადებს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ - შემოიღონ თუ არა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული და მოქმედი გადასახადების სისტემა მოიცავს საერთო- სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს.

2011 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა მანამდე არსებულისაგან როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით. მისი მიზანია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესება, რაც გულისხმობდა უფრო ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის შემოღებას და საგადასახადო სისტემის გამარტივებას ნაკლებეფექტიანი გადასახადების გაუქმების გზით, აგრეთვე

გადასახადების გაანგარიშების მეთოდიკის გამარტივებას და გამჭირვალობის უზრუნველყოფას, საგადასახადო ადმინი–სტრირების გამკაცრებას და სხვა.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით გათვა–ლისწინებული გადასახადების სისტემა მოიცავს 5 საერთო- სა–ხელმწიფოებრივ გადასახადს და 1 ადგილობრივ გადასახადს. შეცვლილია მათი საგადასახადო განაკვეთები და გადახდის რეჟიმები.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზი–დენტები და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროებიდან. რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც გამოითვლება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთო–ბლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის. ფიზი–კური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას შემოსა–ვალი იბეგრება 20 %-ით.

მოგების გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს საწარმო და უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში სა–ქმიანობას ახორციელებენ მუდმივი დაწესებულების მეშვეო–ბით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც განისა–ზღვრება როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და საგა–დასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვის თანხას შორის, ამასთან, საგადასახადო კოდექსით გათვალი–სწინებულია როგორც შემოსავლები, ისე ხარჯები.

ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორ–მით ან/და საქმიანობით ხელფასის, ეკონომიკური სარგებლის ან სხვა სახით ფულად ან ნატურალურ ფორმაში მიღებული შემოსავალი, საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 %-ით.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). ამ გადა–სახადით იბეგრება დასაბეგრი ბრუნვა, რომელიც საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციებისა და დასაბეგრი იმპორტის თანხების ჯამია. დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის (მომსახურების) საბაზრო

ფასით დღგ-ის გარეშე. დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ–ი საქონლის სატარიფო ღირებულების და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მო–საკრებლების თანხების ჯამისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასა–ბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18%-ს.

აქციზის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც აწარ–მოებენ საქართველოში აქციზურ საქონელს, ახორციელებენ აქციზური საქონლის იმპორტს ან/და ეწევიან შავი და ფერადი ლითონების ექსპორტს. აქციზით დაბეგვრის განაკვეთები დი–ფერენცირებულია. ამ გადასახადით აქციზური საქონლის ექს–პორტი არ იბეგრება, გარდა შავი და ფერადი ლითონების ექ–სპორტისა.

იმპორტის გადასახადით იბეგრება პირი, რომელიც საქა–რთველოს საზღვარზე გადაადგილებს ტვირთს, გარდა საქონ–ლის ექსპორტისა. იმპორტის გადასახადის დასაბეგრი ბაზა გა–ნისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმო–კვეთისას საქონლის სატარიფო ღირებულებით, დღეისათვის მისი განაკვეთები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მი–ხედვით შეადგენს - 0 %-ს; 5 %-ს და 12 %-ს.

რაც შეეხება ადგილობრივი ქონების გადასახადს, ამ გადა–სახადით იბეგრება ფიზიკური და იურიდიული პირების სა–კუთრებაში (მფლობელობაში, სარგებლობაში) არსებული ქონება.

ქონების გადასახადის ობიექტია სხვადასხვა სახის ქონე–ბაზე (მიწა, სატრანსპორტო საშუალებები, არამატერიალური აქტივები, სხვა უძრავი ქონება, ძირითადი საშუალებები) საკუთრების უფლება. ქონების გადასახადით დაბეგვრის განა–კვეთები დიფერენცირებულია რეზიდენტი და არარეზიდენტი საწარმოსათვის და სხვადასხვა შემოსავლების მქონე ფიზიკუ–რი და იურიდიული პირებისათვის.

ახალი საგადასახადო კოდექსით გათალისწინებულია მკა–ცრი საგადასახადო კონტროლი გადასახადის გადამხდელთა მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დროულ გადახდაზე, გადასახადების ადმინისტრირების და მოკრების

თაობაზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის და–ცვისა და მისი შესრულების კონტროლი დაკისრებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს. კერძოდ, საგადასახადო კონტროლის უფლება მინიჭებული აქვს საგადასახადო ორგანოს და ნაწილობრივ შე–მოსავლების სამსახურთან არსებულ საბაჟო გამშვებ პოუნქტე–ბს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუ–ხისმგებლობის საკითხის დაყენება ძირითადად ფისკალურ მიზნებს ემსახურება და არ ითვალისწინებს პირის მიმართ სისიხლის სამაართლებრის დევნას.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწყების და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა. ამ მიზნით, საგა–დასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრო–ბლემების გათვალისწინებით, ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდე–ბლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. მენქიუ- ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა დიოგენე, თბილისი 2008 წ., გვ. 242;
2. თ. კოპალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე-გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი 2011წ., გვ.34;
3. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე-,,საგადასახადო საქმე", თბილისი 2007 წ;
4. გ. გვაზავა-,,რიგ საკითხებში საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ძალზედ უარესია". ჟურნალი-,,აუდიტი, აღრიცხვა და ფინანსები" № 5, 2010 წ;
5. ა. მესხიშვილი-,,რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსი". ჟურნალი-,,ბიზნესი და კანონმდებლობა თბილისი 2011 წ;
6. ს. ყამარაული, მ. ჩოკოლაშვილი, ლ. ყამარაული– ,,გადასახა–დები და დაბეგვრა", სახელმძღვანელო თბილისი 2010 წ;

Taxes and their role in fiscal policy
To formulate

M. Luarsabashvili- Academic Doctor of Economic,
M. Lomishvili-Academic Doctor of Agroengineering

Abstract
(internet version)

Taxes are the main source of income for any state. It is a chain of relations between the state and society. Payments can be used in the field of economics, indigenous, inter-regional and regional levels.

The goal of the tax policy in the country is to create attractive and favorable tax environment for private sector and foreign investments, as well as business start and development.

To this end, simplification of tax administration is carried out with regard to the problems identified in the tax administration process, harmonization of tax legislation with the EU legislation and tax legislation.

სასოფლო სამეურნეო კოპერატივების მნიშვნელობა აგრობიზნესის განვითარებისთვის

დალი სილაგაძე-
ბიზნესის მართვის დოქტორი,
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

აგრარული სექტორის ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას:საქმე ეხება ათიათასობით წვრილ გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას, რომლებსაც არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისა. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ დაცლილ სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, არ შედის ქვეყნის ინტერესებში.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა კარგად გათვლილი და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც დაცლილი ქართული სოფლების აღდგენასა და ნახევრად შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემებს მოაგვარებს.

კოოპერატივები წარმოიშვა მე-19 საუკუნეში, რთულ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში, როდესაც ფერმერებმა თანდათან გააცნობიერეს, რომ ძალებისა და ფინანსების გაერთიანებით, მათ შეეძლოთ ბაზარზე უკეთესად წვდომა. დღეისათვის კოოპერატივებს გააჩნია ორმაგი როლი, ერთის მხრივ ისინი ინდივიდუალური ადამიანების გაერთიანებას წარმოადგენენ და მეორე მხრივ-ეკონომიკური წარმონაქმნები არიან.

კოოპერატივების საქმიანობა დაფუძნებულია, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიულობის, გამჭვირვალობისა და სოლიდარობის პრინციპებზე. აღნიშნული გაერთიანებები პირდაპირ და არაპირდაპირ წარმოადგენენ საკმაოდ მსხვილ დამსაქმებლებსა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ წყაროს. ევროკავშირი 2020 წლისათვის საკუთარი სტრატეგიის განსახორციელებლად კოოპერატივებზე ამყარებს იმედებს და დღეისათვის ევროკავშირის ფერმების 40%-ს სწორედაც, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები წარმოადგენენ.

2013 წლიდან, ხელისუფლების ხელშეწყობით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს.

სოფლის მეურნეობის დარგის პოტენციალის გამოყენებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კოოპერაცია. მცირე შინამეურნეობებისა და დანაწევრებული მიწების პირობებში გაერთიანების ამ ფორმას შეუძლია დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქართველი ფერმერების შემოსავლების ზრდა და სიღარი-ბის დაძლევა.

სტატიის მიზანია, გაანალიზოს კოოპერაციის ეფექტიანობა დარგის განვითარებაში, განიხილოს გამოწვევები, რომელიც დგას კოოპერატივების წინაშე და განსაზღვროს კოოპერაციის ძირითადი შედეგები სოფლის მეურნეობაში. ლიტერატურის მიმოხილვითა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე, გამოვლინდა კოოპერაციის მნიშვნელობა, მისი უპირატესობანი, კოოპერატივების საქმიანობისათვის ხელშემშლელი ფაქტორები და შემუშავდა რეკომენდაციები კოოპერაციის განვითარებისათვის სოფლის მეურნეობის დარგში.

აგრარული სექტორის ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: საქმე ეხება ათიათასობით წვრილ გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას, რომლებსაც არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისა. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ დაცლილ

სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, არ შედის ქვეყნის ინტერესებში.

ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნისა და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით (წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლი). კოოპერაციული წარმოების ორგანიზაციული ფორმა უნდა იყოს იმდენად სრული, რომ ადგილს არ უტოვებდეს საწარმოო პროცესში სხვის (არაადგილობრივის) დიქტატს.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული სოფლის მეურნეობის დახმარების ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის შერჩევა, ანუ, იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს.

2013-2016 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კოოპერაციის ხელშეწყობის მიზნით გადადგა გარკვეული ნაბიჯები:

2013-2014 წლები. 2013 წლიდან დაიწყო ხელისუფლების მხრიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის პროცესი. 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 464 სუბიექტს; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებული იყო 3450 მეპაიე (აქედან 783 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მობილიზებული კაპიტალის მოცულობამ შეადგინა 7 666 559,5 ლარი. ამავე წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 72 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივზე გადანაწილდა 207 მოტობლოკის კომპლექტი და 139 ხელის სათესი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამას“ ახორციელებს, რაც მოიცავს კოოპერატივებისათვის მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, 900 ლარად (ღირებულების 24%) გადაცემას.

2015 წელს სტატუსი 853 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს მიენიჭა და ჯამში რეგისტრირებული იყო სულ 1251 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი. ამავე წელს, მონიტორინგის გეგმის ფარგლებში 207 კოოპერატივი შემოწმდა და 72 მათგანზე გაიცა რეკომენდაცია ხარვეზების გამოსასწორებლად, ხოლო 68 კოოპერატივს შეუწყდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი.

მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას დამატებით გადაეცემათ 1 ხელის სათესი 1 ლარად. ასევე, ამაწლის საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 460 კოოპერატივის განაცხადი დაკმაყოფილდა 1170 აგროკომპლექტით და 55 ხელის სათესით უზრუნველსაყოფად.

2016 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 484 კოოპერატივს. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში, 2016 წელს 207 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი დაკმაყოფილდა 265 აგროკომპლექტით. 181 „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 164 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 13,936 სკა, 28 კოოპერატივს 28 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი), ასევე, 27-მა კოოპერატივმა მიიღო ჯამურად 61 400 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზები. ასევე, „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2016 წელს აშენდა და პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობით დაკომპლექტდა 9 საწარმო, მათ შორის: 2 სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 4 სამცხე-ჯავახეთში, 2 ქვემო ქართლში და ერთი კახეთში.

აქვე უნდა შევეხოთ, კოოპერატივის სტატუსის მინიჭების საკითხსაც. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი განაცხადის საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, იურიდიული პირის მონაცემები სააგენტოს შეჰყავს ელექტრონულ რეესტრში და გასცემს შესაბამის მოწმობას. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპე-

რატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის საქმიანობის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები იურიდიული პირისთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველია.

2013 წლიდან დღემდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი შეწყვეტილი აქვს 353 კოოპერატივს, რაც რეგისტრირებული კოოპერატივების 19%-ია, რაც არც ისე მცირე მაჩვენებელია. დღეისათვის რეგისტრირებულია 1538 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის რეგიონების მიხედვით რაოდენობრივ განაწილებას შემდეგი სახე აქვს: კახეთი - 155; ქვემო ქართლი-187; მცხეთა-მთიანეთი-85; შიდა ქართლი-98; სამეგრელო-ზემო სვანეთი-127; გურია -53; აჭარა-153; სამცხე-ჯავახეთი-360; იმერეთი-134; რაჭა-ლეჩხუმი-134; და თბილისი-52.

კოოპერატივების საქმიანობის სფეროებია: მემარცვლეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეკალმახეობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს მხარდამჭერ ღონისძიებებს. კოოპერატივები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით; ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობს საგრანტო პროგრამები, რომლებიც კოოპერატივების ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს;

კოოპერატივების დაფუძნების გამარტივებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს წესდების ტიპური ფორმა. ფორმა წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს მეპაიეთათვის და შესავსებია მხოლოდ გარკვეული პუნქტები. აღნიშნული წესდება მოიცავს როგორც ზოგად დებულებებს, ასევე, მართვისა და წევრთა უფლებების განაწილების საკითხებს.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ იმ ქვეყნებისათვის, საქართველოს ჩათვლით, სადაც დომინირებს მცირე ფერმები, გააჩნიათ მცირე საექსპორტო შესაძლებლობები და უმუშევრობის მაღალი დონე, ხოლო იმ ქვეყნებში კი, სადაც ეკონომიკის ზრდა ემყარება კაპიტალინტენსიურ დარგებს, ფერმერებს განვითარებისა და დივერსიფიცირების მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ რომ, სასოფლო-სამეურნეო კოპერატივებს და მის შემდგომ განვითარებას

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრბიზნესის პროდუქციის გაზრდისათვის. ბოლო დროს საქართველოში აგროსფეროს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა კოოპერაციული მუშაობის დანერგვისა და კოოპერატივის ინსტიტუციური განვითა-რების საკითხი. ლოკალური ტრადიციის, თითქმის საუკუნოვანი წყვეტის გამო ამ თემების გარშემო ფერმერულ ჯგუფებში ჯერ კიდევ ბუნდოვანი დამოკიდებულება და წარმოდგენები არსებობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კოოპერატივების განვითარების სააგენტო) და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ კოოპერაციული მუშაობის ცნობიერების განვითარებასა და ამ პრაქტიკის დანერგვას. მათი მცდელობით იზრდება კოოპერატივებად დარეგისტრირებული ფერმერული ჯგუფების რიცხვი, რომლებიც ხედავენ კოოპერაციული საქმიანობის უპირატესობებს. პირველ რიგში ეს უპირატესობაა ცალკეულ ფერმერებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო დანახარჯებისა და რისკების თანაბრად განაწილება, ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობით სტაბილური ბაზრის უფრო ხელმისაწვდომობა, ვიდრე - ინდივიდუალური წარმოებით.

ქართული სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა კარგად გათვლილი და ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც დაცლილი სო--ფლების აღდგენისა და ნახევრად შიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემებს მოაგვარებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. internetmasalebi- business.org.ge
2. კოოპერატივების სააგენტო- http://acda.gov.ge/index.php/geo/static/118
3. saqarTvelos soflis meurneobis wliuri angariSi, 2017

The importance of agricultural cooperatives for the development of agribusiness

Dali Silagadze-
Doctor of Business Management,
Ak.Tsereteli State University Associated Professor

Abstract
(Internet version)

The economic analysis of the agrarian sector clearly illustrates the problem of the population of Georgian villages.

The case concerns tens of thousands of petty (family) farms, Who have neither experience nor financial means to stand up independentl. It is in such a situation that the State is committed to providing effective cooperative societies to the peasants and to take care of their financial position.

Otherwise we will get rid of the empty villages, which certainly will not be in the interests of the country.

It is important for the development of Georgian agriculture and economy to develop an effective agricultural policy,

Which will be organically integrated into national economic policy, This is the only way, Which will solve problems of resettlement of the Georgian villages and the population of half the hunger.

3.კვების მრეწველობა
Food Industry

ბუნებრივი ბიოსტიმულატორების გავლენა მაღალხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობაზე

ელენე კალატოზიშვილი-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
მედეა ორმოცაძე-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ლია კოტორაშვილი-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
მარინა კერესელიძე-
წამყვანი ინჟინერი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

მაღალპროდუქტული სამრეწველო ნარგაობის შექმნა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინტენსიფიკაცია და განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სარგავი მასალის წარმოებაზე, მათ ხარისხა და შედგენილობაზე.

სტანდარტული ნამყენი ნერგის გამოსავლიანობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები გამოიყენება ძალიან მცირე დოზით. მათ ახასიათებთ ზემოქმედების ფართო სპექტრი, ზრდა-განვითარების ცალკეული ეტაპების მიზანმიმართული რეგულირება, მცენარეული ორგანიზმის პოტენციური შესაძლებლობის მობილიზაცია და პროდუქტიულობის გაზრდა.

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ბიოლოგიურად აქტიური (აუქსინი, ჰეტეროაუქსინი, ეპინი, კაროტინოიდები, ამინომჟავები და სხვა) ვაზის კალმების დამუშავება ზრდის ფესვთა სისტემების ნაზარდის განვითარებას.

მრავალწლიანი მეცნიერულ-პრაქტიკული კვლევის შედეგად მეღვინეობის ნარჩენებიდან, კერძოდ ყურძნის კლერტიდან ჩვენს მიერ მიღებულია ბიოსტიმულატორი. იგი შეიცავს მთელ

რიგ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა კომპლექს: აუქსინებს, გიბერელინებს და ციტოკინინებს. ფიტოჰორმონების გარდა მის შემადგენლობაში შედის ე.წ.მეორეული ზრდის ნივთიერებები: ფლავონოიდები, ამინომჟავები, ლიპიდები, კარბონმჟავები(მაგ. გალის და ყავის მჟავები-ზრდის ინჰიბიტორები), ალკალოიდები, უჯერი ლაქტონები, ტერპენოიდები და სხვა.

კლერტიდან მიღებული ბიოსტიმულატორის გავლენის დადგენის და ნამყენი ნერგის გამოსავლიანობის გაზრდის ეფექტური ტექნოლოგიის შემუშავების მიზნით კვლევითი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს კვების მრეეწველობის სამეცნიერო-კვლევი ინსტიტუტში.

ობიექტად აღებულ იყო ვაზის ჯიში გორული მწვანე (სანამყენე), საძირედ ბერლანდიერ/რიპარია კობერი 5 ბბ. ბიოსტიმულატორებად გამოყენებულ იქნა ჰეტეროაუქსინის წყალხსნარი (კონტროლი) და ჩვენს მიერ მიღებული საცდელი ბიოსტიმულატორი კლერტის ექსტრაქტი. ჰეტეროაუქსინის წყალხსნარში და საცდელი ბიოსტიმულატორის სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარებში სანამყენე და საძირე ნიმუშები დამუშავდა სტრატიფიკაციამდე.

კველევები ჩატარდა შემდეგი სქემის მიხედვით:

1. დაუმუშავებელი
2. საცდელი სტიმულატორი განზავება წყალში 1:10
3. განზავება 1:15
4. განზავება 1:30
5. განზავება 1:40
6. ჰეტეროაუქსინის წყალხსნარი (კონტროლი).

თითოეული ვარიანტისათვის 3 ექსპოზიციაში(24,848,72 საათი), 5 განმეორებად.

ჩვენს მიერ ჩატარდა შემდეგი ანალიზები. ფიზიოლოგიური მაჩვენებლებიდან განისაზღვრა:

- პლასტიდური პიგმენტების–ქლოროფილი “ა” და “ბ”, კაროტინოიდების შემცველობა ფოთლებში კოლორიმეტრული მეთოდით;
- ფოტოსინთეზის ფარდობითი ინტენსიობა განისაზღვრა ფლიუროსენციული მეთოდის გამოყენებით PAM 2100 აპარატზე(4).

სათბურის პირობებში რეგენერაციული პროცესები:

- სანერგეში ნამყენი ნერგის აღმოცენება და ბიომეტრიული მაჩვენებლები;

- პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა;

საცდელი ბიოსტიმულატორის მასტიმულირებელი ბუნების დადგენის მიზნით განისაზღვრა:

- ფიტოჰორმონები, აუქსინები, გიბერლინები, ციტოკინინები(5,6)
- ფლავანოიდები, ცილები, ამინომჟავები, ალკილფერულატები, ტერპენები.

ჩვენი კვლევების არსი მდგომარეობდა მცენარეული ნედლეულიდან, კერძოდ ყურძნის კლერტიდან მიღებული ბუნებრივი(მცენარეული) ბიოსტიმულატორის გამოყენებით ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების ახალი სრულყოფილი ტექნოლოგიის დამუშავებაში. ვინაიდან ამ ტიპის სტიმულატორებს გააჩნიათ რიგი უპირატესობებისა სხვა ორგანულ თუ მინერალურ სტიმულატორებთან მიმართებაში. ეს გამოიხატება:

რქებზე კალუსისა და ფესვის განვითარებაზე და მათ ზრდის ინტენსივობაზე ჩატარებული დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა საცდელი ექსტრაქტის ბიოსტიმულატორული ბუნება. მასში დამუშავებულ რქებზე, კონტროლთან (ჰეტეროაუქსინის ხსნარი) შედარბით კალუსისა და ფესვთა წარმოქმნა 3-4 დღით ადრე იწყება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საკვლევ ობიექტში ძლიერი ფესვთა სისტემა ვითარდება და ყლორტის ზრდაც აქტიურად მიმდინარეობს

ნერგის დაფესვიანებისათვის ბიოსტიმულატორის ოპტიმალური კონცენტრაციაა 1/40, ექსპოზიცია–72 საათი.

ლაბორატორიული კვლევებით გამოიკვეთა ყურძნის კლერტიდან მიღებული ბიოსტიმულატორის გამოცდა მიზანშეწონილია მაღალხარისხოვანი ნამყენი ნერგის მისაღებად.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა კლერტიდან მიღებული ბიოსტიმულატორის მასტიმულირებელი ზემოქმედება საძირე და სანამყენე კალმებზე(საძირედ გამოყენებულ იქნა ბერლანდიერ/რიპარია კობერი 5 ბბ, სანამყენოდ გორული მწვანე).

საკვლევი ბიოსტიმულატორის მოქმედებით, როგორც ნამყენები, ისე დასაფესვიანებელად დარგული სანამყენეები და საძირეები აღმოცენებას სწრაფად და დიდი ენერგიით იწყებენ.

ნამყენი და დასაფესვიანებელი კალმები სანერგეში დარგვის შემდეგ სწრაფად იწყებენ დაფესვიანებასა და კვირტის განვითარებას.

შემოთავაზებული სტიმულატორის უპირატესობა საქართველოს ბაზარზე არსებულ სტიმულატორებთან შედარებით გამოიხატება პრეპარატის შესაძლებლობაში გააქტიუროს ნივთიერებათა ცვლის პროცესები მცენარეულ ორგანიზმში, აამაღლოს მათი სიცოცხლისუნარიანობა და გამძლეობა არახელსაყრელი პირობებისადმი, ხელს უწყობს ვაზის ნამყენის მინერალური კვების გაუმჯობესებას, სამყნობი კომპონენტების შეზრდა-შეხორცების ზრდასა და ფესვთა სისტემის ძლიერ განვითარებას. იგი აძლიერებს როგორც ფესვთა სისტემის, ისე მიწისზედა ნაწილების განვითარებას. ფესვები უფრო გრძელი და დატოტვილია, ღეროები–სქელი, ფოთლები კი ფართო ხდება და იზრდება მასში ქლოროფილის შემცველობა, რის გამოც იზრდება შეფერილობის ინტენსივობა.

ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. კალუსის განვითარების სტიმულირება ხდება საცდელი სტიმულატორის განზავებისას წყალში 1:40.
2. იოლოგიურად აქტიური ნივთიერებები არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს უჯრედის სასიცოცხლო ციკლის მსვლელობაზე. ამგვარად მიღებული ნერგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენებით ციტოგენეტიკურად მდგრადია.
3. ნამყენი ნერგის აღმოცენების მაღალი ენერგიით გამოირჩევა ნამყენები, რომელთა სამყნობი მასალა დამუშავებულია საცდელი სტიმულატორის ხსნარით. იგი გაცილებით აღემატება საკონტროლო ვარიანტს.
4. შეიმჩნევა ყლორტის ინტენსიური ზრდა.
5. ნამყენების წინასწარი დამუშავებით იქმნება ფესვთა სისტემისა და ნამყენი ნერგის განვითარების ხელსაყრელი პირობები.
6. საცდელი სტიმულატორით გაპირობებულია ფოტოსითეზის ინტენსივობის და პლასტიდური პიგმენტების შემცველობის ზრდა კონტროლთან (ჰეტეროაუქსინი) შედარებით.

7. იზრდება სტრანდარტული ნამყენი ნერგის გამოსავ-ლიანობა და იკლებს თვითღირებულება.

The effect of natural biostimulator on high quality grafted seedling

Elene kalatozishvili-
Candidate of technical Sciences,
Medea Ormotsadze-
Candidate of technical Sciences,
lia Kotorashvili-
Candidate of technical Sciences,
Marina Kereselidze-
Main Engineer

Abstract
(Internet version)

Creation of high-quality industrial plantations, intensifi-cation of the viticulture and winemaking and development rates significantly depends on the production, quality and composition of the planting material.

4. მეტყევეობა

Forestry

კურორტი ბახმარო და მისი ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა

ანზორ მესხიშვილი–
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

ბახმარო ზღვის დონიდან მდებარეობს 2050 მ. სიმაღლეზე. ბახმარო, ჯანმრთელობის სამჭედლოა, ალპური ჰავის კურორტია თავისი მდიდარი ბუნებით, ძვირფასი წიწვიანი ტყეებითა და თვალ–წრმტაცი ადგილებით. მეცნიერული შესწავლით და პრაქტიკული შემოწმებით დადასტურებულია, რომ ბახმაროს ჰავა საუკეთესოდ მოქმედებს ფილტვების, ჯირკველების და ძვლების ტუბერკული–ოზით დავადებულ ადამიანებზე, ბახმაროს ჰავის გავლენით მატუ–ლობს სისხლის წითელი ბურთულები და ჰემოგლობინი, სოჭისა და ნაძვის ფიტონიციდებით ჰაერის გამდიდრება მნიშვნელოვნად ზრ–დის კურორტის სამკურნალო ეფექტს.

ბახმარო ზღვის დონიადან მდებარეობს 2050 მ. სიმაღლეზე. მესხეთის ქედზე, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, ტყის ზონის ზემო ნაწილში. შავი ზღვის სანაპიროდან, პიდაპირი ხაზით 50 კილომეტრია, ჩოხატოურის რაიონული ცენტრიდან 52 კილო–მეტრი. აღმოსავლეთით ესაზღვრება განდრეკილის მთა ზ.დ–ან 2722 მ., დასავლეთით საყორნიას მთა ზ.დ–ან 2752 მ.,ჩრდი–ლოეთით ბახვის მთა ზ.დ–ან 2193 მ.,ხოლო სამხრეთით ფაფა–რას მთა ზ.დ–ან 2616 მ.

ბახმარო ერთ-ერთი უმაღლესი კურორტია ევროპაში არსე–ბულ ისეთ ცნობილ კურორტებს შორის, როგორიცაა წმინდა მორიცი 1855 მ ზ.დ–ან, აროზა 1720 მ, დავოსი 1560 მ, და ლე–ზინი. მდინარე ბახვის წყალი, რომლის სათავე იწყება საყო–რნიას მთიდან, მოედინება ჩრდილო-დასავლეთის მიმა–

რთულებით და კურორტის ტერიტორიას თითქმის შუაზე ჰყოფს.

ბახმარო, ჯამრთელობის სამჭედლოა, ალპური ჰავის კუ–რორტია თავისი მდიდარი ბუნებით, ძვირფასი წიწვიანი ტყეე–ბითა და თვალწრმტაცი ადგილებით.

საშუალო წლიური ტემპერატურა +3.7^0-ია. ზამთრის საშუა–ლო ტემპერატურა-4^0, ხოლო ზაფხულისა+12^0. ნალექების წლი–ური ჯამი 1405 მმ-ია, მ.შ. ივნისში ს-116 მმ. ივლისში-97მმ. აგვისტოში-105 მმ, სექტემბერში-136 მმ, ოქტომბერში-164 მმ, საშუალო ფარდობითი ტენიანობა 70%-ია. (ცხრ. 1). ზამთარში თოვლის საფარი აღწევს 4-5 მეტრს და რჩება შვიდ თვემდე.

მზის რადიაცია 1 სმ ტოლია 1.50 კალ. როცა აბასთუმანში (არაზინდო) მხოლოდ 1.44 კალ. ხოლო ბორჯომში 1.33 კალ. აღწევს.

ბახმაროს მრავწლიური საშუალო კლიმატური მონაცემები

ცხრილი 1

ჰავა	თვეები												საშ. წლიური
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ჰაერის საშუალო ტემპერატურა	-5.5	-5.5	-2.2	44	6.7	9.2	12.4	13.2	9.8	5.6	1.1	-3.3	3.7
ჰაერის აბს. მინიმალური ტემპერატურა	-25	-25	-23	-15	-10	-3	0	0	-6	-11	-16	-24	-25
ჰაერის აბს. მაქსიმალური ტემპერატურა	9	12	16	19	21	27	30	30	26	21	17	13	30
ნალექების რაოდენობა (მმ)	123	125	106	78	94	116	97	105	136	164	135	124	1406
ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)	75	79	73	68	80	83	88	85	81	73	75	73	79
მზიანი დღეების რაოდენობა	18	21	23	23	31	26	28	24	21	25	22	22	-

მტვრის ნაწილაკების რაოდენობა ჰაერში ერთ სმ-ზე საქართვე–ლოს სხვადასხვა კურორტზე

ცხრილი 2

ბახმარო	200 – 400
აბასთუმანი (არაზინდო)	400 – 600
აბასთუმანი (ქვედა)	1200
ბორჯომი (პლატო)	600 – 800
ბორჯომი (პარკი)	1000

მზის რადიაცია და ატმოსფეროს გამჭვირვალობა ხარისხო–ბრივად მაღალ მაჩვენებელს იძლევა. ირგვლივ მდებარე მაღა–ლი მთები უშალო გავლენას ახდენს კურორტის კლიმატურ პირობებზე. ადგილობრივ წარმოქმნილი ატმოსფერული დინება კურორტის მიდამოებში ქმნის ამინდის კომპლექს, რომელიც ხასიათდება სიმშრალით და მოწმენდილი ცით, ჰაე–რის მასის სუსტი მოძრაობით. კურორტ ბახმაროში ჰავა რბი–ლია და შეზავებულია ზღვის ჰავასთან. აქ ადგილი აქვს ჰაერის დინებას ზღვიდან მთაში(ბახმაროზე) და პირიქით.

კურორტ ბახმაროს დენდროფლორისათვის დამახასიათებე–ლია ნაძვისა და სოჭის შერეული კორომები. სოჭის კორომები ძირითად წარმოდგენილია სამხრეთ ფერდობებზე, ნაძვისა კი-ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის მთის ფერდობებზე.

ძველად ბახმაროს ტყე წარმოდგენილი იყო ფიჭვნარით, მაგრამ, ჯიშთა ცვლის შედეგად იგი შეცვალა ნაძვმა და სოჭმა. ფიჭვი მცირე რაოდენობით ახლაც არის შემორჩენილი ბაისუ–რაში. ბახმაროში ნაკლებად არის გავრცელებული წიფელი, ნეკერჩხალი, არყი. საერთოდ, ბახმაროს ტყე მცენარეული სა–ფარის ნაირსახეობით ღარიბია, ხელოვნურად გაშენებული ბაღ-პარკები იქ არ არის.

მეცნიერული შესწავლით და პრაქტიკული შემოწმებით და-დასტურებულია, რომ ბახმაროს ჰავა საუკეთესოდ მოქმედებს ფილტვების, ჯირკველების და ძვლების ტუბერკულიოზით დავადებულ ადამიანებზე, ბახმაროს ჰავის გავლენით მატუ-ლობს სისხლის წითელი ბურთულები და ჰემოგლობინი,

სოჭისა და ნაძვის ფიტონიციდებით ჰაერის გამდიდრება მნიშვნელოვნად ზრდის კურორტის სამკურნალო ეფექტს.

ტყე ერთის მხრივ, ამშვენებს და ალამაზებს გარემოს, საუ–ცხოო შესახედაობას აძლევს კურორტის მიდამოებს, ხოლო, მეორე მხრივ–იცავს მას ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან, ალპური ზონებიდან მომდინარე თოვლის ზვავებისაგან, თო–ვლის დნობის დროს წარმოშობილი ნიაღვრებისაგან და სხვა.

ბახმაროს ტყეებს კურორტოლოგიური მნიშვნელობის გარდა, უდიდესი წყალშემნახი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელ წლეებში, ტყეების გაჩეხვის მიუხედავად, ბახმ–როს არ დაუკარგავს თავის მნიშვნელობა და ის ერთ-ერთი სა–უკეთესო კურორტია ევროპაში.

Resort Bakhmaro and Its Forest Resort Value

Anzor Meskhishvili–
Academic Doctor of Economics

Abstract
(Internet version)

Bakhmaro is located 2050 meters above sea level. Heaven for healthy lifestyle, Bakhmaro resort has alpine climate with magnificent nature, precious coniferous forest, and breathtaking places. Scientific study and practical examination proved that the Bakhmaro climate is best for people with lung, bone, and gland tuberculosis. Climate helps increase red blood cell count and hemoglobin. The enrichment of air through Sochi and Spruce phononic acid significantly increases the health effects of the resort.

5.მეცენარეობა
plant-industry

სოიოს, როგორც ცილოვანი პროდუქტების წარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

ზეინაბ ახალაძე-
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

პროტეინის, როგორც დედამიწაზე სიცოცხლის საფუძველის პრობლემის გლობალური ხასიათი მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და ცილის შემცველი პროდუქტების წარმოების ზრდას. ცილის პრობლემაში ერთდროულად კონცენტრირებულია კვებითი, სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას. ამ თვალსაზრიით, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ისეთი ცილოვან-ზეთოვანი კულტურა, როგორიც არის სოიო, რომელიც გამოყენების საკმაოდ ფართო სპექტრით (საკვებწარმოება, მედიცინა, საკვები და ტექნიკური მიზნები) ხასიათდება.

სოიოს მოსაყვანად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, იდეალური პირობებია, რამაც ამ საქმეს ხელი უნდა შეუწყოს. იმდენად გაიზარდა მსოფლიოში მოთხოვნა ამ კულტურაზე, რომ ის მცენარის ბუნებრივმა წარმადობამ ვერ დააკმაყოფილა და მსოფლიო გენმოდიფიცირებული სოიოს წარმოებაზე გადავიდა. არაგენმოდიფიცირებული სოიოს თესლის შეძენა მსოფლიოს მასშტაბით თითქმის შეუძლებელია. ასეთ დროს საქართველოში, ცალკეული ადამიანების პირადი გონიერებისა და გმირობის ფასად შენარჩუნებული იქნა ამ კულტურის ისტორიული და ბუნებრივი ჯიშები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნებრივი სოიოს სახით უნიკალური სიმდიდრე შემოგვრჩა და მომავალში ბევრი ქვეყანა მოინდომებს ჩვენგან ამ სიმდიდრის შესყიდვას.

სასიხარულოა, რომ ფოთში უკვე ფუნქციონირებს სოიოს გადამმუშავებელი ქარხანა, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში.

ქარხნის ამოქმედებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი სოიოს წარმოებას. შემცირდა იმპორტის საჭიროება და გაიზარდა საექსპორტო შესაძლებლობები. კომპანია გადასამუშავებლად, ქართველი მცირე მეწარმეებისაგან წლიურად ათეულობით ტონა ადგილობრივ სოიოს ნედლეულს შეისყიდის, თანაც საკმაოდ მაღალ ფასად. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურის წარმოებას ჩვენთან საკმარისი ყურადრება არ ექცევა.

სოიოს წარმოება საკმაოდ მომგებიანია. საჭიროა ამ დარგის შესაბამისი სტრუქტურების მეტი მუშაობა, სხვადასხვა პროექტის განხორციელება, უფრო საფუძვლიანი შესწავლა იმისა თუ სად შეიძლება მისი მოყვანა, რა შეიძლება მისცეს ეკონომიკას ამ დარგმა.

პროტეინის, როგორც დედამიწაზე სიცოცხლის საფუძველის პრობლემის გლობალური ხასიათი მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და ცილის შემცველი პროდუქტების წარმოების ზრდას. ცილის პრობლემაში ერთდროულად კონცენტრირებულია კვებითი, სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას. ცილოვანი რესურსების ზრდის საკითხი არ შეიძლება განიხილებოდეს სასურსათო პრობლემისგან განცალკევებით-ეს არის მისი შემადგენელი კომპონენტი და გადაუდებელ გადაწყვეტას საჭიროებს.

ცილოვანი რესურსების საფუძველს მცენარეული და ცხოველური საწყისები შეადგენს, რომლებიც იმავდროულად ქმნიან კვების ინდუსტრიის ბაზას. ნებისმიერ ქვეყანაში, მიუხედავად მისი ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისა, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, მეცხოველეობის პროდუქტების მოხმარების გზით კვების ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს საკვები ბაზის რადიკალურ რესტრუქტურიზაციას, რაც პირველ რიგში გულისხმობს ცხოველებისა და ფრინველის რაციონის გამდიდრებას არა მარტო ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მინერალებით, არამედ ცილებითაც.

ამ თვალსაზრიით, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ისეთი ცილოვან-ზეთოვანი კულტურა, როგორიც არის სოიო, რომელიც გამოყენების საკმაოდ ფართო სპექტრით (საკვებწარმოება, მედიცინა, საკვები და ტექნიკური მიზნები) ხასიათდება. სოიო, ცილის იაფ და ძალზედ მდიდარ წყაროს წარმოადგენს. ვერც ერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა სოიოსთან ახლოსაც ვერ მივა: მისი პარკი ცილის მინიმუმ 40%-ს შეიცავს (შედარებისთვის: ბარდა-22-26%, ფეტვი-11,5%). რა თქმა უნდა, სოიო ხორცს მთლიანად ვერ შე-

ცვლის, მაგრამ ცილოვანი შიმშილის დროს ადამიანის ორგანიზმს დიდ დახმარებას უწევს. სოიო დიდი რაოდენობით ვიტამინებსაც შეიცავს. მაგალითად, ბ2 მასში ექვსჯერ მეტია, ვიდრე ხორბალში.

სოიოს შესახებ კამათი დღემდე არ ცხრება და ჯერ კიდევ რჩება შავი თუ თეთრი პიარის ობიექტად. მრავალჯერ სცადეს სოიოსთვის რეპუტაციის შელახვა, და მაინც ცილის უნიკალური შემცველობის გამო მას მცენარეულ პროდუქტებს შორის ბადალი არ მოეპოვება.

ამ მცენარეს ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი როგორც საკვები პროდუქტი ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის მესამე ათასწლეულში იხსენიება. ჩინეთში სოიოზე უამრავი ლეგენდა არსებობს.

ევროპაში სოიოზე პირველად 1712 წელს, ჰოლანდიელი ექიმის ენგელბერტ კამპფერის წიგნის გამოცემის შემდეგ ალაპარაკდნენ. აშშ-ში სოიოს პირველი ბუმი დაიწყო: ზედიზედ იხსნებოდა ამ მცენარის გადამმუშავებელი ქარხნები, სამზარეულოებში მისმა ზეთმა საპატიო ადგილი დაიკავა, ხოლო შრატმა (ზეთგამოცლილმა დაქუცმაცებულმა თესლმა) ბიძგი მისცა მესაქონლეობის წარმოუდგენელ ზრდას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოიოს პოპულარობის ზრდაში დიდი წვლილი შეიტანა თვით ჰენრი ფორდმა. ის პროპაგანდას უწევდა არა მარტო სოიოსგან მიღებულ პლასტმასას, ავტომობილების ლაქსა და საღებავებს, არამედ სოიოს ბოჭკოსგან დამზადებულ კოსტიუმს ატარებდა.

სოიოს მოსაყვანად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, იდეალური პირობებია, რამაც ამ საქმეს ხელი უნდა შეუწყოს. იმდენად გაიზარდა მსოფლიოში მოთხოვნა ამ კულტურაზე, რომ ის მცენარის ბუნებრივმა წარმადობამ ვერ დააკმაყოფილა და მსოფლიო გენმოდიფიცირებული სოიოს წარმოებაზე გადავიდა. არაგენმოდიფიცირებული სოიოს თესლის შეძენა მსოფლიოს მასშტაბით თითქმის შეუძლებელია. ასეთ დროს საქართველოში, ცალკეული ადამიანების პირადი გონიერებისა და გმირობის ფასად შენარჩუნებული იქნა ამ კულტურის ისტორიული და ბუნებრივი ჯიშები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნებრივი სოიოს სახით უნიკალური სიმდიდრე შემოგვრჩა და მომავალში ბევრი ქვეყანა მოინდომებს ჩვენგან ამ სიმდიდრის შესყიდვას. სოიოზე ისეთი მოთხოვნილებაა, ვინც დათესავს, გაყიდვის პრობლემა ნამდვილად არ ექნება.

სასიხარულოა, რომ ფოთში უკვე ფუნქციონირებს სოიოს გადამმუშავებელი ქარხანა, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში. ,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის'' ფარგლებში

2013 წელს, ფოთში შპს „იუნიგრეინ ჯორჯიან გრუპმა“ თანამედროვე სტანდარტების სოიოს გადამმუშავებელი საწარმო გახსნა. საწარმოში, საერთო ჯამში, 2 მილიონ 300 ათასი ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან 600 ათასი დოლარის კრედიტი „იუნიგრეინ ჯორჯიან გრუპმა“ „ხალიკ ბანკი საქართველოსგან“ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში აიღო. სესხის საპროცენტო განაკვეთს (10.75%) კი ინვესტორს პროექტების მართვის სააგენტო დაუფარავს.

საწარმო 500 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთზეა განლაგებული. კომლექსის მთლიანი ფართი 27214 კვადრატული მეტრია. თანამედროვე ტიპის ქარხანა აღჭურვილია უახლესი ევროპული დანადგარებით, ოთხი 3000 ტონიანი სასაწყობე ბუნკერით, 19 მარცვალმზიდით, ორი 25 ტონიანი ცისტერნით, საკუთრებაში არსებული რკინიგზის ჩიხით, დამცლელ-დამტვირთავი ბუნკერებით და ა.შ. ქარხანა სამი დასახელების პროდუქტს, კერძოდ, ტოსტირებულ სოიოს, კოპტონსა და სოიოს არარაფინირებულ ზეთს აწარმოებს. საწარმოში ყოველდღიურად მუშავდება დაახლოებით 60 ტონა მარცვლეული, რომლიდანაც 47 ტონა კოპტონი და 9 ტონა ზეთი მიიღება. „იუნიგრეინ ჯორჯიან გრუპის“ მიერ წარმოებული პროდუქციის 44% სომხეთისა და აზერბაიჯანის, ხოლო 56% საქართველოს შიდა ბაზარზე რეალიზდება. მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ფაბრიკები სოიოს ნაწარმს უპირატესობას ანიჭებენ პროტეინების მაღალი შემცველობის გამო. საწარმოს საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს. მის უმთავრეს მიზანს პროდუქციის საზღვრებს გარეთ გატანა წარმოადგენს. გეგმის შესაბამისად პირველი ლოკაცია ინდოეთი, ჩინეთი, ისრაელი და ევროპის ქვეყნები არიან, რისთვისაც პირველ რიგში ISO სერთიფიკატის მოპოვებაა საჭირო. საწარმოს სამომავლო გეგმებში შედის ასევე სოიოს ახალი პროდუქტების წარმოების ათვისებაც.

ქარხნის ამოქმედებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი სოიოს წარმოებას. შემცირდა იმპორტის საჭიროება და გაიზარდა საექსპორტო შესაძლებლობები. კომპანია გადასამუშავებლად, ქართველი მცირე მეწარმეებისაგან წლიურად ათეულობით ტონა ადგილობრივ სოიოს ნედლეულს შეისყიდის, თანაც საკმაოდ მაღალ ფასად. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ კულტურის წარმოებას ჩვენთან საკმარისი ყურადრება არ ექცევა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მონაცემები სოიოს მარცვლის იმპორტის შესახებ. საწარმოში, თვეში 1500-2000 ტონამდე სოიოს მარცვალი უცხოეთიდან შემოდის, უმეტესად უკრაინიდან. ამის მი-

ზეზი ადგილობრივი ნედლეულის სიმცირეა, იგი საწარმოს მხოლოდ რამდენიმე დღე თუ ეყოფა. თანხა, რომელიც სოიოს მარცვლის იმპორტზე იხარჯება არ არის მცირე, წელიწადში დაახლოებით 10 მილიონს შეადგენს. ადგილობრივი წარმოების შემთხვევაში ეს თანხა საქართველოში დარჩებოდა და შესაბამის სიკეთეებს მოიტანდა.

სოიოს წარმოება საკმაოდ მომგებიანია. საჭიროა ამ დარგის შესაბამისი სტრუქტურების მეტი მუშაობა, სხვადასხვა პროექტის განხორციელება, უფრო საფუძვლიანი შესწავლა იმისა თუ სად შეიძლება მისი მოყვანა, რა შეიძლება მისცეს ეკონომიკას ამ დარგმა.

Soy as a protein products to produce modern Condition in Georgia

Z. Akhaladze-
Academic Doctor of Technical,
Akaki Tsereteli State University,
Associated Professor

Abstract

(Internet version)

The global character of protein, as the basis of life on earth requires constant attention and the production of protein-containing products. Protein concentration is concentrated simultaneously nutrition, medical-biological and socio-economic problems, which define human health and life expectancy. The issue of growth of protein resources can not be considered separately from a food problem - this is its component component and needs urgent solutions. From this point of view, the value of protein-oily culture, such as soy, which is characterized by quite wide range of use (food, medicine, food and technical purposes).

To bring soy to the whole territory of Georgia, especially in western regions of Georgia, are ideal conditions, that should facilitate this case. The world's demand for this culture has grown so much that it does not satisfy the natural capacity of the plant and has moved on to the world genetically modified soy. The purchase of non-modified soy seeds is almost impossible around the world. At this time, the historical and natural varieties of this culture have been maintained at the expense of personal intelligence and heroism of individual people. We can say that we have natural wealth in the form of natural soy and many countries will want to buy this wealth from us.

It is good that in Poti already a soy processing plant, which is the only one in Georgia. The factory's energies contributed to the production of local soy. The need for imports decreased and export opportunities increased. The company will purchase tens of tons of local soya raw material from Georgian small entrepreneurs annually for the processing of the company, and at a very high price. However, we can say that this culture does not have enough attention to us.

Soy production is quite profitable. More work on the relevant structures of this field, implementation of various projects, more thorough study of where it can be brought, what could be the economy of this sector.

6. უწყვეტი სწავლების დარბაზი
Continuous Studying Hall

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლექცია 21 დარგობრივი ბიზნესის ორგანიზაცია

21.4. ბიზნესის ორგანიზაცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში

სახალხო მეურნეობის ეს სფეროები საკმაოდ სპეციფიკური და თავისთავადია, რაც მათი თითოეული ელემენტის მიხედვით დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს.

ბიზნესი ამ სფეროებში ცხადია ისეთ მასშტაბებსა და შესაძლებლობებს ვერ აღწევს, როგორც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, თუმცა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და განაპირობებს კიდეც მათ შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

<u>ტრანსპორტის სფერო მოიცავს</u>:

1. სარკინიგზო ტრანსპორტს;
2. საზღვაო ტრანსპორტს;
3. საავტომობილო ტრანსპორტს;
4. საავიაციო ტრანსპორტს;
5. მილგამტარ ტრანსპორტს;
6. საბაგირო ტრანსპორტს;
7. საქალაქო, ელექტრო და სხვ ტრანსპორტს;
8. მეტროს;
9. მონორელსურ ტრანსპორტს და სხვ.;
10. ტურბოტრანსპორტს (ინერტული მასალების გადასაზადიდად).

<u>კავშირგაბმულობის სფერო მოიცავს</u>:

1. სატელეგრაფო კავშირს;
2. სატელეფონო კავშირს;
3. ტელე-რადიო კავშირს;

4. ტელექსსა და ფაქსს;
5. კოსმიურ კავშირს და სხვ.

ამ სფეროში ბიზნესის ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას. ყველა სახელმწიფოს გააჩნია იურიდიული, ეკონომიკური თუ სხვა ბერკეტები, რომლებიც გარკვეულ ნორმებში ზღუდავენ და არეგულირებენ სარკინიგზო, საავიაციო, საზღვაო, საქალაქო და სხვა სახის ტრანსპორტის სფეროში, აგრეთვე კავშირგაბმულობის ცალკეულ სფეროებში ბიზნესის განვითარებას. ეს თითქმის აუცილებელია, ამიტომ ამ სფეროების ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება სოციალურ ფაქტორებს. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ქვეყანას, მიუხედავად ბიზნესის განვითარების თავისუფლებისა, ჰქონდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ამ სფეროების, როგორც სტრატეგიული და პრინციპულად სამხედრო მნიშვნელობის სფეროების განვითარების შესახებ, აკონტროლებდეს და არეგულირებდეს მათ ფუნქციონირებას.

ამ სფეროებში ბიზნესის განვითარებისა და ორგანიზაციის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები:

1. ამ სფეროებში ბიზნესის განვითარება გარკვეული შეზღუდვებითა და რეგლამენტირებით ხასიათდება;

2. ამ სფეროებში შეიძლება ფართო მასშტაბი მიეცეს ქვეყნებს შორის ინტეგრაციულ კავშირებს;

3. დიდი შანსი და შესაძლებლობა არსებობს შემოტანილი იქნას ახალი მოდიფიკაციები, ფორმები, საშუალებები, ტექნოლოგიები, პრინციპულად ახალი და უახლესი შესაძლებლობები და სხვ. ეს განსაკუთრებით ითქმის კოსმიურ კავშირგაბმულობაზე, სატელევიზიო (საკაბელო და სხვ.) და სატელეფონო კავშირებზე და ა.შ. ამის საშუალებას იძლევა კომპიუტერიზაცია, მიღწევები რადიოელექტრონიკაში, ტელერადიომექანიკაში, ლაზერული პრინციპები და ა.შ.

4. ბიზნესი ამ სფეროებში ყველაზე სწრაფმოქმედი, ოპერატიული, სწრაფად განახლებადი, ადვილსარეგულირებელია;

5. ბიზნესი ამ სფეროებში დიდი პერსპექტივებით ხასიათდება, ზოგიერთი პერსპექტიული მიმართულება ჯერაც შეუცნობელი და გაუთვითცნობიერებელია;

6. ბიზნესს ამ სფეროებში მოქმედების დიდი არეალი და სპექტრი გააჩნია.

ბიზნესის ორგანიზაცია სატრანსპორტო კომპლექსსა და კავშირგაბმულობაში უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

1. სწორად, სტრატეგიული პოზიციებისა და სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს ბიზნესის განვითარების სფერო, მასშტაბი, მიმართულებები, სტრატეგიული ხაზი;

2. უნდა გაირკვეს მოქმედების რადიუსი;

3. უნდა დადგინდეს საწარმოს ოპტიმალური (თანამედროვე და პერსპექტიული) სიდიდე;

4. უნდა განისაზღვროს ურთიერთკავშირები სხვა ფირმებთან, ცალკეულ რეგიონებთან, ქალაქებთან, ქვეყნებთან და ა.შ.

5. უნდა განისაზღვროს ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებები და მათი განახლების გზები და შესაძლებლობები;

6. უნდა შეირჩეს მორგებული მენეჯმენტი;

7. უნდა შედგეს კადრების რაციონალური გამოყენების პროგრამა, რომელიც უნდა მოიცავდეს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, კომპეტენტურობისა და ინტელექტუალობის დონის ამაღლებას, ახალი მოთხოვნებისადმი მორგებულობას, გადახალისებას და სხვ;

8. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მუშაკთა მატერიალურ სტიმულირებას და მათი ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას.

ამ სფეროს ბიზნესის ორგანიზაციაშიც, ისე, როგორც მრეწველობის დარგში აღინიშნა, გასათვალისწინებელია, რომ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა დიდ გავლენას ახდენს ყველა სფეროს ბიზნესის განვითარებაზე, როგორც გადაადგილებისა და კავშირის საშუალება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საერთოდ მთელი ეკონომიკის ფუნქციონირება. შეიძლება ითქვას, რომ მომავალში ყველა სახის ბიზნესის წარმატებები ძირითადად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მარჯვედ გამოიყენებს ბიზნესმენი კავშირგაბმულობის საშუალებას მთელი საქმიანობისათვის და განსაკუთრებით ინფორმაციისა და რეკლამისათვის. ასე, რომ ეს მომავალი ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი–ინდიკატორია.

21.5. ბიზნესის ორგანიზაცია ვაჭრობასა და მომსახურე სფეროში

ვაჭრობა ისე, როგორც მომსახურე სფერო, ბიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთი ფართო სამოქმედო სივრცეა. შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგებში ბიზნესმა დიდი გაქანება შეიძინა.

საერთოდ, ბიზნესი ვაჭრობის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან წარმოებული პროდუქტი თუ არ გასაღდა და არ გაიყიდა, თუ იგი ვაჭრობის საგნად არ იქცა ვერ დაადასტურებს, რომ იგი საქონელია. სწორედ ვაჭრობის შედეგად იქმნება ბიზნესმენთა შემოსავალი და კვლავწარმოების შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ბიზნესურ სტრუქტურას თვითონ შეუძლია ჰქონდეს რეალიზაციის (ვაჭრობის) სამსახური, უბანი თუ ფუნქცია, ვაჭრობა იმდენად რთული და განვითარებული გახდა, რომ იგი დიდი ხანია, რაც ბიზნესური საქმიანობის ცალკე სფეროდ გამოიყო.

ამის შედეგად დამკვიდრდა ის ტენდენცია, რომ მსხვილი სტრუქტურები მთავარ ყურადღებას უთმობენ ძირითად პრობლემას– საქონლის წარმოებასა და მისი პროცესის სრულყოფას, ვაჭრობის ფუნქციისაგან კი თავს ინთავისუფლებენ.

ვაჭრობას 2 ძირითადი ფუნქცია გააჩნია: მოთხოვნილების დაკმაყოფილება (მომხმარებლამდე დაყვანა, ყიდვა-გაყიდვის საშუალებით) და საქონლის ღირებულების ფორმით გაცვლა (რეალიზაცია).

ამას გარდა, ვაჭრობას გააჩნია საქონელმოძრაობის რაციონალური ორგანიზაციის ფუნქცია, რაც უკავშირდება წარმოებასა და მოხმარებაზე მის ზემოქმედებას.

ბიზნესის ორგანიზაცია ვაჭრობის სფეროში დიდ და შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს.

ასევე ითქმის მომსახურე სფეროზეც. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში ბიზნესის განვითარების სპეციფიკიდან აღსანიშნავია ის, რომ ამ ფორმის სტრუქტურები ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესურ რგოლებს წარმოადგენენ და გამოირჩევიან ოპერატიულობითა და მოქნილობით.

მომსახურების სფეროს ბიზნესი, ისე როგორც ვაჭრობის სფეროს ბიზნესი წარმოადგენს ძირითად კატალიზატორსა და დამხმარეს მსხვილი ბიზნესისათვის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ როგორც ვაჭრობის, ასევე მომსახურების სფეროშიც შეიქმნას და განვითარდეს დიდი (მასშტაბური და პოტენციური თვალსაზრისით) და მსხვილი ბიზნესიც. ამის მაგალითები საკმაოდ არის მსო-

ფლიო პრაქტიკაში. ეს კი არა და, ისიც ცნობილია თუ პატარა-ჯუჯა საქმოსნებმა (ავან-ჩავნებმა) როგორ გააკეთეს დიდი ბიზნესი სწორედ ვაჭრობის სფეროში დაწყებული მცირე ბიზნესით (პარფიუ-მერული საქონლის ვაჭრობით). ამისათვის ჯუჯა ძმები გრიგორი და ჯონ რიჩები გინესის წიგნშიც კი შევიდნენ.

ბიზნესი ვაჭრობაში შეიძლება დავახასიათოთ როგორც დიდი ბიზნესის მომსახურე ბიზნესი, რომელიც აჩქარებს და რომელსაც სრულყოფილ ფორმაში მოჰყავს მარკეტინგის მთელი სისტემა– მწა-რმოებლისა და მომხმარებლის კავშირი.

ამერიკული სინამდვილის ერთ-ერთ ფენომენს წარმოადგენს ის, რომ გიგანტურად იზრდება მომსახურების სფერო. ამჟამად მასზე მოდის სამუშაო ადგილების 75%, იმათი რიცხვიდან, რომელიც რჩე-ბა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების გარეშე. მაგ. გერმანიაში მომსახურე სფეროში დასაქმებულია სამუშაო ძალის 41%, იტალიაში –35%. კეთილმოწყობის აყვავებამ, თავისუფალი დროის ზრდამ, საქონლის გართულებამ, რომელიც ტექნიკურ მომსახურებას მოით-ხოვს, აშშ აქცია მომსახურების ეკონომიკის მსოფლიოში პირველ ქვეყნად.

მომსახურების სფერო ძალზე მრავალფეროვანია. იგი კომე-რციული სტრუქტურების გარდა მოიცავს თვით სახელმწიფო სე-ქტორსაც–სასამართლოებს, ბირჟებს, საავადმყოფოებს, სამხედრო სა-მსახურს, პოლიციას, ფოსტას, მუზეუმებს, ეკლესიებს.

შეიქმნა ისეთი ფირმებიც, რომლებიც მოეხმარებიან მომხმარე-ბელს (მსურველს) დააბალანსონ ბიუჯეტი, გააღვიძონ დილით, წაი-ყვანონ სამსახურში, აღმოუჩინონ ახალი სახლი, ახალი სამსახური, ახალი ცოლი, უწინასწარმეტყველონ მომავალი, მოუარონ კატას, ძა-ღლს, გაართონ მუსიკით და მრავალი სხვ.

მომსახურებას 4 დამახასიათებელი ნიშანი ახასიათებს, კერ-ძოდ: ხელშეუხებლობა-უხილაობა, შექმნის წყაროდან გამოუ-ყოფლობა, ხარისხის ცვალებადობა (არამუდმივობა), შენახვის შეუ-ძლებლობა. ეს ნიშნები გათვალისწინებული უნდა იქნას ამ სფეროში ბიზნესის ორგანიზაციის დროს.

მომსახურების კვალიფიკაციისათვის შეიძლება გამოიყოს შემ-დეგი ნიშნები:

1. მომსახურების წყარო ადამიანია თუ მანქანა;
2. აუცილებელია თუ არა კლიენტის თანდასწრება მომსახურების დროს;

3. როგორია კლიენტის მიერ მომსახურების შეძენის მოტივები. იგი გამიზნულია პირადი თუ საქმიანი ინტერესების (მოთხოვნების) დასაკმაყოფილებლად;
4. როგორია მიმწოდებლის მოტივაცია–კომერციული თუ არაკომერციული და როგორი ფორმით სრულდება იგი (ცალკეული პიროვნებების თუ მთელი კოლექტივის მომსახურება).

ცნობილია მომსახურების სფეროს ბიზნესის ბევრი საინტერესო ფაქტი. ეს განსაკუთრებით ეხება იმათ, ვინც გამოჩენილ პიროვნებებს ემსახურება. მაგ. განუმეორებელმა იმპრესარიომ ბრაინ ეპშტეინმა, რომელიც „ბითლზებთან" მუშაობდა, გამოიმუშავა იმაზე მეტი ფული, ვიდრე ანსამბლის თითოეულმა წევრმა.

ბიზნესი მომსახურე სფეროში მოითხოვს სპეციფიკურ მარკეტინგს, ვთქვათ, საზოგადოებრივ კვებაში, ცალკეულ პიროვნებათა მიმართ, სატრანსპორტო მომსახურების, ბირჟების, საფინანსო-ეკონომიკური, მენეჯმენტის, განათლების, მედიცინის, სამართლის, საცხოვრებელი ადგილის, დასასვენებელი ადგილის, იდეების სფეროში და ა.შ. ასე, რომ ბიზნესს ამ სფეროში განსაკუთრებული დიფერენცირება სჭირდება.

მომსახურების სფეროში კვალიფიციური შრომის ღირებულება საკმაოდ დიდად ფასობს. ეს განსაკუთრებით ეხება ინტელექტუალურ სამსახურს–მეცნიერების, ინჟინრების და სხვათა სამსახურს.

კვალიფიციური შრომის ღირებულება შეიცავს: ცოდნას, გამოცდილებას და დახელოვნებას (ოსტატობას). მრავლისმეტყველია შემდეგი საინტერესო ფაქტი. ერთმა, ამერიკაში კარგად ცნობილმა მექანიკოსმა, რომელმაც მანქანის ერთწუთიანი რემონტის შემდეგ გაგზავნა ანგარიში, სადაც ჩაქუჩის დარტყმა შეფასებული იყო ერთ დოლარად, ხოლო ცოდნა იმის შესახებ, თუ სად და რა ძალით უნდა დაერტყა–99 დოლარად.

მოთხოვნილების მიხედვით მომსახურება მსხვილ მასშტაბებში შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად სახეებად:
1. საყოფაცხოვრებო;
2. საბინაო-კომუნალური;
3. სატრანსპორტო;
4. კავშირგაბმულობის;
5. ტურისტულ-საექსკურსიო;
6. კულტურული მომსახურების;
7. სამკურნალო და გამაჯანსაღებელი;
8. ფიზკულტურისა და სპორტის;
9. სოცუზრუნველყოფის;

10. სამართალდაცვის;
11. დაზღვევის;
12. ინტელექტუალური (მ.შ. კომპიუტერული მომსახურების) და სხვა სახეებად და ფორმებად.

ნიშანდობლივი და სპეციფიკურია, რომ მომსახურე სფეროში ხარჯების ძირითადი წილი შრომის ანაზღაურებას უჭირავს.

ვაჭრობასა და მომსახურე სფეროში ბიზნესის ორგანიზაციის დროს გასათვალისწინებელი და დასამუშავებელია შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. დიდი ყურადღება დაეთმოს წამყვანი („მკვებავი“) პარტნიორების შერჩევასა და მათთან ურთიერთობას, ამისათვის უნდა შედგეს სპეციალური პროგრამა, ჩატარდეს გათვლები და შეფასებები;

2. უნდა დადგინდეს „მკვებავი“ პარტნიორების შესაძლებლობების რეალიზაციის გზები, პირობები, პერსპექტივები;

3. უნდა დაზუსტდეს ბაზრის სტრუქტურა, მასშტაბი, რეგულირების ფორმები, ათვისების შესაძლებლობები;

4. უნდა გაირკვეს და რეგულირდებოდეს ფასები და ურთიერთპარტნიორობის პირობები;

5. უნდა დაისახოს, კორექტირდებოდეს და უმჯობესდებოდეს პარტნიორობის (ვაჭრობის, მომსახურების) ფორმები, ტექნიკურ-ტექნოლოგიური შესაძლებლობები;

6. უნდა დადგინდეს ბიზნესის გაძღოლის ფორმები, მეთოდები, კადრები და სისტემატიურად უმჯობესდებოდეს და პროგრესული ხდებოდეს ბიზნესის მენეჯმენტი, რომელიც ყველაზე მეტად რეაგირებს დადებითსა და უარყოფით პოზიციებზე სწორედ ვაჭრობასა და მომსახურებაში.

მენეჯმენტის დაბალი ხარისხი და მენეჯერის სისუსტე სწრაფად აისახება ბიზნესის წარუმატებლობებზე ამ სფეროში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბიზნესი როგორც ვაჭრობაში, ისე მომსახურე სფეროში შეიძლება ითქვას „დამოკიდებული“ ბიზნესია. სხვის მოიმედოობაზე ყოფნის საპირისპირო საშუალებად კი მეტად მოქნილი მენეჯმენტია საჭირო, რათა სისტემატიურად, საჭიროების შემთხვევაში ხდებოდეს სწრაფი ორიენტაცია, რეზერვების დაუყოვნებლივ ამოქმედება, ახალი ძალებისა და საშუალებების სწრაფად ჩართვა საქმეში, ზოგჯერ კი, თუ საჭიროა პროფილის შეცვლა და ა.შ. ყველაფერი ამისი და, საერთო ჯამში შეუფერხებელი განვითარების თავიდათავი კარგად აგებული და ოპერატიულად ფუნქციონირებადი მენეჯმენტია.

7.ტერმინები
Terms

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

7.1. შრომა

მატერიალური რესურსების წარმოებას ანუ როგორც ეკონომიკაში იხმარება მატერიალურ წარმოებას ადამიანის შრომა სჭირდება. შრომა ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია და ელემენტია. სწორედ ამაში დევს ადამიანის არსის საიდუმლო.

შრომა ადამიანის მიზანშეწონილი და მიზანმიმართული საქმიანობაა (ფუნქციაა), რომლითაც იგი სახეს უცვლის ბუნების საგნებს, თავისივე მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სხვაგვარად: შრომა, წარმოების პროცესში ადამიანის მიერ ფიზიკური და გონებრივი პოტენციალის ხარჯვაა.

შრომა უკავშირდება შრომის საგნებს და შრომის საშუალებებს.

შრომის საგანია ის, რაზეც ზემოქმედებს ადამიანი და სახეს უცვლის მას, თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

შრომის საშუალებებია ის, რითაც ზემოქმედებს ადამიანი შრომის საგნებზე.

შრომის საგნები და შრომის საშუალებები წარმოადგენს **წარმოების საშუალებებს.**

წარმოების საშუალებები და სამუშაო ძალა (ადამიანის უნარი) წარმოადგენს **საწარმოო ძალებს.**

საწარმოო ძალების განვითარების ფორმად მიჩნეულია წარმოებითი ურთიერთობანი (ანუ ადამიანთა ურთიერთობანი).

წარმოებით ურთიერთობათა სისტემა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: საკუთრივ წარმოების წარმოებითი ურთიერთობანი, განაწილებითი ურთიერთობანი, გაცვლითი ურთიერთობანი და მოხმარებითი ურთიერთობანი.

7.2. შემოსავლის წყაროები

წარმოების ძირითადი ფაქტორები შესაბამისად შემოსავლის წყაროებია, მიწა-რენტის, შრომა-ხელფასის, კაპიტალი-მოგების. ამას ფაქტორული შემოსავლები ეწოდება.

რენტა არის მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების (ფაქტო-რის) შემოსავალი. იგი არის მიწის სარგებლობისათვის გადახდილი საზღაური, რომელსაც მისი მესაკუთრე იღებს.

ხელფასი არის შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის შემოსავალი. შრომაზე, როგორც წარმოების უმნიშვნელოვანეს რესურსზე, წარმოების დანახარჯების დიდი ნაწილი მოდის. შესაბამისად ხელფასი წარმოადგენს შრომის ფასს და იგი საბაზრო ფასის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის სიდიდეც განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმით.

მოგება არის კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის შემოსავალი. შრომის ფაქტორის მფლობელის მსგავსად (რომელიც შემოსავალს ხელფასის სახით იღებს) კაპიტალის მფლობელიც თავის შემოსავალს მოგების სახით იღებს.

7.3 ეკონომიკური კანონები და კატეგორიები

ეკონომიკური კანონი არის ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მდგრადი, მუდმივგანმეორებადი მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი და ურთიერთგაპირობებულობა.

ეკონომიკური კანონი მოვლენათა არსია მოძრაობაში. მოვლენები არსს რომ ემთხვეოდეს, მაშინ ყოველგვარი მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა. კანონი დაფარულია. მსოფლიო მიზიდულობის კანონი რომ ხიდან ნაყოფის ჩამოვარდნაში ჩანდეს, მაშინ მისი აღმოჩენა არ იქნებოდა საჭირო.

საყოველთაო ეკონომიკურ კანონებს მარადიული ხასიათი აქვს და საერთო-საკაცობრიო ნიშნებით ხასიათდება, მოქმედებენ ყველა ეპოქაში.

საყოველთაო ეკონომიკური კანონებია:

- შრომის მზარდი ნაყოფიერების;
- შრომის დანაწილების (საერთაშორისო);
- ფულის მიმოქცევის;
- ღირებულების;
- დროის ეკონომიის;
- მოთხოვნილების განუხრელი ზრდის;
- მოთხოვნის;
- საქონლის მიწოდების;

განსაკუთრებული ეკონომიკური კანონებია (ისინი განსაკუთრებული ქვესისტემისთვის, სფეროებისთვის არის ნიშანდობლივი):

- საბაზრო ურთიერთობის;
- ნატურალური მეურნეობის.

ეკონომიკური კანონები, როგორც ბუნების კანონები, ადამიანთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ ადამიანებს შეუძლიათ მათი შეცნობა და გამოყენება თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, რაშიც ეხმარება ეკონომიკური მეცნიერება.

ეკონომიკური კანონების მოთხოვნების განხორციელების სისტემა ვლინდება ეკონომიკურ (სამეურნეო) მექანიზმში.

ეკონომიკური კანონებისაგან განსხვავებით არსებობს ნორმატიული კანონებიც, რომელთა შემოღებაც შეიძლება და გაუქმებაც. მათ იურიდიული ძალა აქვს.

ნორმატიული (იურიდიული) კანონები ხელს უწყობენ ეკონომიკური კანონების რეალიზაციას.

ეკონომიკური მეცნიერება იცნობს აგრეთვე **ეკონომიკურ კატეგორიებს**. ისინი განმაზოგადებელი ცნებებია, რომლებიც მოვლენებისა

და პროცესების უზარმაზარი რაოდენობის არსს ასახავენ, ეროვნული სიმდიდრის მოძრაობის ძირითადი ფორმების თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენენ და ამ ფორმების არსებითი ნიშნების ამსახველი განმაზოგადებელი ცნებებია. მაგალითად, როცა ვამბობთ: საქონელი (ეკონომიკური კატეგორიაა) არის პროდუქტი დამზადებული ბაზრისათვის, ამ შემთხვევაში **პროდუქტი**, საყოველთაობაა, **ბაზრისათვის**–განსაკუთრებულობა, ხოლო თვით საქონელი–ერთეული, როგორც ნამდვილი.

ეკონომიკური კატეგორიები შეიძლება დაიყოს:

- თანაფარდობით ანუ რეფლექსურ კატეგორიებად;
- კანონის ტიპის კატეგორიებად.

ცნების გამომხატველ სიტყვას ტერმინი ეწოდება. ჩვეულებრივი სიტყვებისაგან განსხვავებით ტერმინები ზუსტ განსაზღვრულობას ექვემდებარებიან. ეკონომიკური ტერმინი ისევე განსხვავდება სიტყვისაგან, როგორც მსჯელობა–წინადადებისაგან.

კატეგორიად გვევლინება ცნება, რომელიც შეიცავს ზოგადობის, განსაკუთრებულობისა და ერთეულის მომენტებს.

7.4. ეკონომიკური მეცნიერების კლასიფიკაცია

ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძველია ზოგადი ეკონომიკური თეორია, რომელიც ზოგად თეორიულ-ეკონომიკურ პრობლემებს სწავლობს. კონკრეტული ეკონომიკური მეცნიერებანი კი ლოკალური ხასიათისაა და სპეციფიკურ ეკონომიკურ მოვლენებს სწავლობენ.

ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე ზოგად ეკონომიკურ თეორიაში გამოიყო შემდეგი ძირითადი ნაწილები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეზოეკონომიკა და მეგაეკონომიკა.

მიკროეკონომიკა შეისწავლის ლოკალური ბაზრისა და მისი ცალკეული სუბიექტების (კორპორაცია, ფირმა და ა.შ.) ეკონომიკურ ფუნციონირებას;

მიკროეკონომიკა (ბერძნ. „მცირე“)–ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი, განაყოფი, სფერო, რომელიც დაკავშირებულია შედარებით მცირე მასშტაბის ეკონომიკური პროცესების, სუბიექტების, მოვლენების, ძირითადად კი საწარმოების, ფირმების, მეწარმეების, მათი სამეურნეო საქმიანობის, მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა შესწავლასთან, მოხმარების, ფასების დანახარჯების, მოგების გათვალისწინებით–მიკროეკონომიკის ყურადღების ცენტრშია მწარმოებლები და მომხმარებლები, მათ მიერ წარმოების, გაყიდვის, ყიდვის, მოხმარების მოცულობათა მიმართ გადაწყვეტილებების მიღება.

მიკროეკონომიკა სწავლობს აგრეთვე სუბიექტების საბაზრო ქცევის წესს, წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების პროცესში მათ შორის ურთიერთობებს. იგი შეისწავლის აგრეთვე მწარმოებლებს, მეწარმეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას.

მაკროეკონომიკა შეისწავლის მთლიანი ეროვნული ეკონომიკური სისტემის, როგორც მაკრობაზრის განვითარებათა კანონზომიერებებს;

მაკროეკონომიკა–მსხვილმასშტაბიან ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს სწავლობს. იგი ქვეყნის ეკონომიკას, მთლიანად მის მეურნეობას ეხება. მისი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს მთელ მეურნეობაზე კრებსითი, განმაზოგადებელი მაჩვენებლები, როგორიცაა ეროვნული სიმდიდრე, საერთო ეროვნული და საერთო შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი, სახელმწიფო და კერძო ჯამური ინვესტიციები, მიმოქცევაში ფულის საერთო რაოდენობა.

მაკროეკონომიკა ერთდროულად სწავლობს და იკვლევს ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა: საშუალო შემოსავლები, საშუალო შრომის ანაზღაურება, ინფლაციის დონე, უმუშევრობა, შრომის ნაყოფიერება და განმაზოგადებელი მაჩვენებლების ზრდის, სიდიდეების ამაღლებისა და შემცირების ტემპებს, რომლებიც

ქვეყნის ეკონომიკას და მასში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და სტრუქტურულ პროცესებს ახასიათებს.

მეზოეკონომიკა სწავლობს ეროვნული ეკონომიკის ქვესისტემების (აგრარული, სათბობ-ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა კომ-პლექსების, ინფრასტრუქტურის და სხვ.) ფუნქციონირებას;

მეგაეკონომიკა სწავლობს შრომის საერთაშორისო დანაწილების, საერთაშორისო ვაჭრობის, შრომის საერთაშორისო ბაზრის, საერთა-შორისო სავალუტო სისტემის, საერთაშორისო ეკონომიკური ინტე-გრაციის და საერთაშორისო მასშტაბის სხვა გლობალურ პრობლემე-ბს.

განიხილავენ **მეტაეკონომიკასაც,** რაც სხვანაირად ეკონომიკის ფილოსოფიას ნიშნავს.

7.5. ბაზრის სისტემა

ობიექტების მიხედვით ბაზარი იყოფა:
საქონლის და მომსახურების; სამუშაო ძალის; წარმოების საშუალებათა (კაპიტალის); ფასიანი ქაღალდების, ვალუტის; მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა და პატენტების; ინფორმაციის; მიმოქცევის საშუალებათა; ლიცენზიათა ბაზარი და ა.შ.

ტერიტორიული ნიშნით განასხვავებენ: ადგილობრივ და რეგიონულ, საშინაო და საგარეო ბაზარს, ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებს;

გაჯერებულობის მიხედვით განასხვავებენ: წონასწორობით, დეფიციტურ და ჭარბ ბაზრებს.

გრეგორი მენქიუ განმარტავს **კონკურენტულ ბაზარსაც**–ეს არის ბაზარი, რომელზეც მრავალი მყიდველი და მრავალი გამყიდველია და თითოეული მათგანი უმნიშვნელო გავლენას ახდენს საბაზრო ფასზე.

ბაზრის აუცილებელი რეგულატორია კონკურენცია და ფასების მექანიზმი.

7.6. ფასი, ფასწარმოქმნა, ღირებულება

ფასი საქონლის ან მომსახურების ღირებულების ფულადი გამოხატულებაა. თვითღირებულება კი საქონელში განივთებული აბსტრაქტული შრომაა, იგი საქონლის წარმოების ობიექტური კანონია, რომელიც განაპირობებს საქონლის გაცვლას აუცილებელი შრომის დანახარჯების მიხედვით. ამასთან, არეგულირებს საქონელმწარმოებელთა კავშირებს, რადგან ფასს საფუძვლად ღირებულება უდევს.

ღირებულების კანონი იგივე ფასების კანონია.

ღირებულება მწარმოებლის მიერ საქონელში ჩაქსოვილი შრომაა. ღირებულების სიდიდე შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯებით განისაზღვრება, რომლის ადეკვატური ზომაა საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო. ცალკე გამოიყოფა სახმარი ღირებულება (როგორც ახლა ხმარობენ საქონლის სარგებლიანობა), მაგრამ ფასის საზომი მთლიანი ღირებულებაა. პროდუქტი რომ საქონლად იქცეს, მას უნდა ჰქონდეს სახმარი სამომხმარებლო (სარგებლიანი) ღირებულება.

არჩევანის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ალტერნატიულ ღირებულებას (ამას ახლა ეკონომისტები ფართოდ იყენებენ). ალტერნატიული ღირებულება–ეს არის იმ პროდუქტის სარგებლიანობა, რომელზეც მყიდველ-ლმა უარი თქვა მეორე პროდუქციისათვის უპირატესობის მიცემით

ფასს, თავისი მნიშვნელობის მიხედვით შემდეგი ასპექტები აქვს:

- ამარტივებს ყიდვა-გაყიდვის პროცესს;
- არეგულირებს მოთხოვნასა და მიწოდებას;
- ხელს უწყობს ან ხელს უშლის გასაღების პროცესს;
- უშუალოდ უკავშირდება ღირებულებასა და მოგებას;
- წარმოადგენს საიმედო ინსტრუმენტს კონკურენციულ ბრძოლაში.

ფასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფირმის (საწარმოს) კომერციული წარმატება.

ფასების კლასიფიკაციას ახდენენ შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- ეკონომიკური ბრუნვის ხასიათის მიხედვით (საბითუმო, საცალო, შესასყიდ, სატვირთო გადაზიდვების, კავშირგაბმულობის მომსახურების, მომსახურების და სხვ.);
- ტერიტორიული ნიშნის მიხედვით (ქვეყნის მთელი ტერიტორიისთვის, ზონალური, ადგილობრივი (ტარიფები) და სხვ.);
- მოქმედების ვადის მიხედვით (სეზონური, საპრეისკურანტო, ერთჯერადი შეკვეთების, სახელშეკრულებო, საკომისიო და სხვ.);
- საგარეო ვაჭრობის ხასიათის მიხედვით.

შიდა ფასები საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე როგორც წესი განისაზღვრება შიდა ბაზრის ფასების მიხედვით.

არსებობს აგრეთვე ბაზარზე ახალი საქონლის დასამკვიდრებელი ფასები, პრესტიჟული ფასი, წარმოების ხარჯების ასანაზღაურებელი ფასები, ლიდერის (კომპანიის) ფასი, ფსიქოლოგიური ფასები, დამრგვალებული (თანხიდან უმნიშვნელოდ შემცირებული), მცოცავი ფასები (დეფიციტის პირობებში, კონკურენციის დროს).

ფასების პოლიტიკის შემუშავების გავრცელებული მეთოდია მრავალეტაპობრივი მიდგომა ფასების დაწესებისადმი. გამოიყოფა ფასწარმოქმნის სამი ძირითადი მიზანი:

1. საქონლის რეალიზაციის ზრდა და ბაზრის წილის მაქსიმიზაცია;
2. მოგების მაქსიმიზაცია;
3. უზარალობის უზრუნველყოფა.

გამოიყოფა ფასების დაწესებაზე მომქმედი ხუთი ძირითადი ფაქტორი:

1. ფასის დაწესება პრინციპით „საშუალო ხარჯებს პლუს მოგება“;
2. ფასის დაწესება უზარალობის ანალიზისა და საფასო მოგების უზრუნველყოფის საფუძველზე;
3. ფასის დაწესება საქონლის ფასეულობის საფუძველზე;
4. ფასების დაწესება მიმდინარე ფასების დონის საფუძველზე;
5. ფასის დაწესება დახურული ვაჭრობის საფუძველზე.

ფასწარმოქმნაზე დიდ გავლენას ახდენს წარმოების დანახარჯები და თვითღირებულება, მომხმარებლის და მოთხოვნის ფაქტორები; გეოგრაფიული ფაქტორი, საქონლის წარმოშობის ადგილი, პოლიტიკური გარემო, მოთხოვნაზე ორიენტირება, მიმდინარე (არსებული) ფასები, კონკურენცია და მრავალი სხვ.

7.7. ფული

ფული ერთ-ერთი ძირითადი და ამასთან, ურთულესი ეკონომიკური კატეგორიაა. იგი თვით აქსიომატურ, ეკონომიკურ კანონებზეც კი ახდენს გავლენას, განსაზღვრავს რა მათი მოქმედების ძალასა და ვადებს, ტემპებსა და მასშტაბებს.

ფულს კაცობრიობის უგენიალურეს აღმოჩენად მიიჩნევენ. საუკუნეებია, კაცობრიობა მოიხმარს და ატრიალებს ფულს, მის სხვადასხვა ნიშნებს, მაგრამ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ფული თვითონ ატრიალებს მსოფლიოს.

ფულს გააჩნია თვითრეგულირების უნარი, რაც მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს ფუნქციონირების დონის ამაღლებით მიიღწევა.

ფული სხვა არაფერია, თუ არა საქონელი (განსაკუთრებული), იგი ყველანაირ მიმართებაში იმყოფება სხვა საქონელთან და არავითარ შემთხვევაში არასაქონლურ განზომილებებთან.

ფულის გაჩენასა და შემოღებას განაპირობებს და განსაზღვრავს მატერიალური წარმოების სფეროს დონე, ე.ი. თუ ქვეყანაში ძირითადად იწარმოება საკუთარი საქონლის გარკვეული მასა, იგი ქმნის მატერიალიზებულ საფუძველს ფულის არსებობისათვის. ეს ნიშნავს, რომ საქონელი შობს ფულს, როგორც განსაკუთრებულ საქონელს. ადმინისტრაციული წესით ფულის შემოღება ამ უკანასკნელს აბსურდულ ელემენტად აქცევს, რაც ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეკონომიკას მართავს თავისი კანონები და არა ადმინისტრირება და მბრძანებლობა.

ფული ოთხ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

1. <u>ღირებულების საზომი</u>–ამჟამად საქონლის ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებს ქაღალდის ფული (დოლარი, მარკა, ლარი და ა.შ.), ოქროთი ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე. კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა ამ ფუნქციას ოქრო ასრულებდა;
2. <u>მიმოქცევის საშუალება</u>–ფული წარმოგვიდგება საქონელთა (მომსახურებათა) ურთიერთგაცვლის შუამავლად. თავდაპირველად ფული სწორედ ამ ფუნქციის შესასრულებად გამოიცა (სახაზინო ბილეთების სახით);
3. <u>დაგროვების საშუალება</u>–ამ ფუნქციას ფული ასრულებს მაშინ, როდე-საც მისი მფლობელი მიღებისთანავე არ ხარჯავს მას და ინახავს (თვითონ ან ბანკში);
4. <u>გადახდის საშუალება</u>-საქონელგაცვლიდან საქონელმიმოქცევაზე გადას-ვლამ და ყიდვისა და გაყიდვის აქტების დროში დაცილებამ

წარმოშვა ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია (მაგ. ყიდვა განვადებით, გადასახადების დაფარვა უნარდო ანგარიშსწორებით, საერთაშორისო ანგარიშგებები და სხვა).

ქაღალდის ფულის სიმტკიცე (მსყიდველობისუნარიანობის უცვლელობა) ქვეყანაში ოქროს მარაგის სიდიდეს კი აღარ უკავშირდება, არამედ იგი ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საქმიანობით განისაზღვღვრება, რომელიც არეგულირებს ფულის მიმოქცევას. მან შესაძლებელ (ოპტიმალურ) მინიმუმამდე უნდა შეზღუდოს ფულის ნიშნების როგორც მიწოდება, ისე მოთხოვნა. სხვაგვარად მოხდება ფულის გაუფასურება. ამით დასტურდება, რომ ფულის მსყიდველობითი უნარი (ანუ საქონლის და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ფულზე) უშუალო კავშირშია მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობასთან.

ფულადი ურთიერთობების საფუძველზე სახელმწიფოები ჩართულნი არიან მსოფლიო სავალუტო სისტემაში. ამჟამად (1978 წლიდან) მოქმედებს ახალი მსოფლიო სავალუტო სისტემის პრინციპები. აქედან უმნიშვნელოვანესია ოქროს დემონეტიზაცია. გაუქმდა ოქროს ოფიციალური ფასი, შეწყდა დოლარის გადაცვლა ოქროზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ოქრო უკვე აღარ განიხილება როგორც ფული და ის ჩვეულებრივ საქონლადაა მიჩნეული. ყველა ქვეყანას სავალუტო კურსის სასურველი რეჟიმის არჩევის უფლება აქვს მიცემული, რის გამოც დამყარდა სავალუტო კურსის განსხვავებული რეჟიმები.

ფულად ურთიერთობებში გამოყოფენ ფულად სისტემას, რომლის ელემენტებია:

- ფულის ერთეული–მის სახელწოდებას ადგენს სახელმწიფო;
- ფასების მასშტაბი–რომელშიც იგულისხმება ფულის დანაწევრება ერთეულებად (მაგ. 1 ლარი შედგება 100 თეთრისგან და ა.შ.);
- სახელმწიფო ფულადი ნიშნები–ეს გადახდის კანონიერი საშუალებებია (მაგ. საქართველოში გამოიყენება 200, 100, 50, 20, 10, 5, 2 და 1-ლარიანი კუპონები);
- სახელმწიფო აპარატი (ცენტრალური ბანკი, ფინანსთა სამინისტრო), რომელიც ქვეყანაში ფულის მიმოქცევას მართავს;
- ფულის ემისია (ფულის დამატებითი დაბეჭდვა), რომელსაც ახორციელებს ცენტრალური ბანკი.

მიმოქცევაში ჭარბი ფულის არსებობას ინფლაცია ეწოდება. იგი იწვევს ფასების ზრდას და შემოსავლების გადანაწილებას, ძირითადად ფართო მასების საზიანოდ.

სხვაგვარად: ფასების ზრდის პროცესს ინფლაცია ეწოდება, ხოლო შემცირების პროცესს–დეფლაცია.

ინფლაციას იწვევს:

- საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა;
- ხელფასების დაუსაბუთებელი გადიდება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (მისი შევსებისათვის მთავრობა კრედიტს იღებს სახელმწიფო ბანკისაგან, რაც იწვევს მიმოქცევაში დამატებითი ფულის გამოშვებას);
- საკრედიტო ექსპანსია, როცა ბანკები დაუსაბუთებლად დიდ კრედიტებს გასცემენ;
- სამხედრო და სხვა ხარჯების გაუმართლებელი ზრდა და სხვ.

ინფლაციაზე გავლენას ახდენს არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ფაქტორებიც.

განასხვავებენ ზომიერ (მცოცავ, როცა ინფლაციის წლიური ზრდის ტემპი 10%-ს არ აღემატება, რაც საშიში არ არის); „ჭენებით“ (ფასების დაჩქარებული ზრდა წლიურად 20%-დან 200%-მდეა); ჰიპერინფლაციას (ამ დროს ფასები და ფულის მიმოქცევა თვითდინებაზეა მიშვებული–ფასების ყოველთვიური ზრდა 50%-იან ზღვარს როცა სცილდება;

7.8. საკუთრების ფორმები

განასხვავებენ საკუთრების შემდეგ ფორმებს:

- კერძო საკუთრება–კერძო მესაკუთრე არის ის, ვინც საკუთრების ობიექტებს (უმთავრესად წარმოების საშუალებებს) გამოიყენებს შემოსავლის მიღების მიზნით;
- პირადი საკუთრების დროს საკუთრების ობიექტები (მოხმარების საგნები) გამოიყენება მხოლოდ პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად;
- კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენს ასოციაციების, სააქციო საზო-გადოებების, კოოპერატივების და სხვა გაერთიანებების საკუთრება;
- სახელმწიფო საკუთრება ქვეყნის მოქალაქეთა საერთო საკუთრებაა (მეტ-ნაკლები მოცულობით ყველა ქვეყანაში არსებობს), რომლის განკარგვას ხალხის სახელით ახორციელებს სახელმწიფო და მმართველობითი ორგანოები.

პროცესს, როცა სახელმწიფო საკუთრების ობიექტი კერძო ან კოლექტიური საკუთრების ობიექტი ხდება პრივატიზაცია ეწოდება.

7.9. დასაქმება და უმუშევრობა, სიმდიდრე და სიღარიბე

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა უკავშირდება შრომის ბაზარს, რომელიც გამოდის დამქირავებელთა და დასაქირავებელთა ინტერესების შემათანხმებელი მექანიზმის როლში.

დასაქმება განიმარტება, როგორც პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ადამიანების საქმიანობა.

დასაქმება-ეს მოქალაქის პირადი უფლებაა და იგი ნებაყოფლობითია.

ისეთ სამუშაო ადგილს, რომელიც შრომის მაღალ ნაყოფიერებას და შესაბამისი (სასურველი) გამომუშავების მიღწევის საშუალებას იძლევა, ეკონომიკურად მიზანშეწონილი (მისაღები) სამუშაო ადგილი ჰქვია.

იმ დროს, როდესაც შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების სიჭარბე შეიმჩნევა ადგილი აქვს უმუშევრობას. მისი სახეებია: ფრიქციული (მიმდინარე), სეზონური, სტრუქტურული (ტექნოლოგიური ძვრების შედეგად წარმოიშობა), ციკლური (გაპირობებულია წარმოების დაცემით), ფარული (როცა „მომუშავენი“ ფორმალურად დასაქმებულად ითვლებიან, ფაქტიურად კი წარმოების დაცემის გამო ზედმეტნი არიან).

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს შემოსავლების უთანაბრობა და შესაბამისად არსებობენ მდიდრებიც და ღარიბებიც.

საერთოდ, სიმდიდრე არის სხვაობა აქტივებსა და პასივებს შორის. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის 1% ფლობს ქვეყნის სიმდიდრის დაახლოებით 19%-ს. საქართველოს მოსახლეობის 55% მდიდარია დაგროვილი ქონების მიხედვით, ამა-ვდროულად ღარიბი–მიმდინარე შემოსავლების მიხედვით. უმდიდრესი 10% იღებს შემოსავლების 40%-ს.

სიღარიბის დონე–ეს არის სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი. სიღარიბის ზღვარი კი არის შემოსავლის აბსოლუტური დონე, რომელიც მთავრობის მიერ გარკვეული ზომის ოჯახისთვისაა დაწესებული და რომლის მიღმაც ოჯახს სიღარიბე ემუქრება.

შემოსავლებზე გავლენას ახდენს განათლება და გამოცდილება, ამიტომ „ადამიანური კაპიტალის“ თეორია საკმაოდ აქტუალურია.

მეცნიერების მიერ შემოთავაზებულია სიღარიბის აღმოფხვრისა და შესუსტების მრავალი პროექტი. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ პროექტების განხორციელებაში.

ერთნი მიიჩნევენ, რომ სიღარიბის მიზეზები უნდა ვეძებოთ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოებებში, რომლებსაც თვითონ ღარიბები ვერ აკონტროლებენ. ეს არის ცუდი კვება, ცუდი სკოლები, დანგრეული ოჯახები, დისკრიმინაცია, დასაქმების დაბალი შესაძლებლობები და სახიფათო გარემო.

მეორენი ფიქრობენ, რომ სიღარიბე მომდინარეობს არაადაპტირებული ქცევიდან, რომელზედაც პასუხისმგებლობა ეკისრება ინდივიდს.

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სიღარიბეს ორივე ფაქტორთა კომპლექსი იწვევს და რომელზეც უნდა იზრუნოს როგორც სახელმწიფომ, ისე თვით ინდივიდმა. ამ სისტემაში ძირითადი ტვირთი და პასუხისმგებლობა თვით ინდივიდზე მოდის; სხვა სიტყვებით: ინდივიდის უნარზე, პოტენციალზე და შესაძლებლობებზეა ძირითადად დამოკიდებული მდიდრების კატეგორიაში იყოს თუ ღარიბების.

და მაინც, სიღარიბე პოლიტიკოსთა წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემაა. მეცნიერები აყალიბებენ ეკონომიკური პოლიტიკის სამ შესაძლო პროგრამას, რომლებიც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სიღარიბიდან თავის დაღწევაში ეხმარება.

აი, ამ პროგრამების პოზიციები:

- მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფა;
- სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფა (ფულადი დახმარება; ბავშვებზე დახმარება, ავადმყოფებისადმი და უუნაროებისადმი დახმარება, პენსიები და ა.შ.);
- ნატურალური დახმარების უზრუნველყოფა (ქველმოქმედებები, დახმარებები, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ა.შ.);

ამასთან, უნდა ითქვას, რომ არც ერთი პროგრამა არაა სრულყოფილი და მათგან საუკეთესოს არჩევა ძალიან ძნელია. საჭიროა დიფერენცირებული მიდგომები.

8.საკითხის დასმა
Problem Statemment

ინკლუზიური ბიზნესი

(მომზადდა ინტერნეტის მასალების მიხედვით)

გლობალიზაციის პროცესი ობიექტურად განაპირობებს ეკონომიკური სისტემის და საქმიანი კულტურის ტრანსფორმაციას, რამაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა უნდა უზრუნველყოს. ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებს შორის მეცნიერების განსაკუთრებულ ყურადღებას ინკლუზიური ბისნესისფენომენი იმსახურებს.

სპეციალურ ლიტერატურაში ინკლუზიური ბიზნესი შედარებით ახალი ცნებაა, პირველად ის გამოყენებულ იქნა 2005 წელს ჟენევაში გამართულ ბიზნესის მდგადი განვითარების მსოფლიო საბჭოზე (Södergren, 2016). ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირებამ ხელი შეუწყო მეწარმეობის განვითარებას და დააჩქარა ეკონომიკური ზრდის ტემპები, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უკეთესი მომავალი უზრუნველყო. მაგრამ, ამავე დროს, ტრანსფორმაციული კრიზისის და გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში მომხდარი შოკების შედეგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში აღმოჩდა. ეკონომიკურმა ზრდამ ვერ უზრუნველყო სიღარიბის შემცირება. მაგალითად, საქართველოში 2004-2015 წლებში მიღწეული შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიუხედავად, მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 20 პროცენტს აღემატება (სიღარიბის მაჩვენებლები, 2017). ეკონომიკური ზრდის შედეგების მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე გადანაწილება, მხოლოდ სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტებით ვერ მოხერხდება. ამისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ღირებულების

შექმნის ჯაჭვში ჩართვას აქვს, რაც მხოლოდ ბიზნესის განსა–კუთრებულ მოდელებს შეუძლია უზრუნველყონ.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ მრავალჯერ დაადას–ტურა, რომ იმ კომპანიებს, რომლებიც საქმიანობის დაგეგმვი–სას დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ინტერესებზე ფოკუ–სირდებიან, შეუძლიათ მოიპოვონ არსებითი კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე და მიიღონ საშუალოზე მაღალი მო–გება.

ამრიგად, ინკლუზიური ბიზნესი კომერციული და სოცია–ლური მიზნების ეფექტიან შეხამებას ეფუძნება და ორიენტი–რებულია ცხოვრების ხარისხისა და დაბალშემოსავლიანი მო–სახლეობის პირობების გაუმჯობესებაზე, სიღარიბის და სოცი–ალური პრობლემების შემსუბუქებაზე.

ინკლუზიური ბიზნესი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სა–მუშაო ადგილების შექმნას დაბალშემოსავლიანი მოსახლეობი–სათვის, მეორე მხრივ კი ქმნის ფასეულობას წარმოებული სა–ქონლისა და მომსახურების სახით. ასევე, მისი მეშვეობით მრა–ვალ ინოვაციურ პროექტს ეყრება საფუძველი.

ამასთან, ზოგიერთის აზრით, ინკლუზიური ზრდა გარკვე–ულწილად წინააღმდეგობრივი ცნებაა. იმისათვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს, საჭიროა ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზრუნვა. ინკ–ლუზიურობა კი ხშირ შემთხვევაში გულისხმობს სოციალური სამა–რთლიანობის პრინციპის წინ წამოწევას.

ინკლუზიური ბიზნესის მოდელები მდგრადი ეკონომი–კური განვითარების მიზნებს სინერგიულად აკავშირებენ კო–მპანიების ოპერაციულ აქტივობასთან. ეს მოდელები მოსა–ხლეობას უმნიშვნელოვანესი სოციალურ–ეკონომიკური ფასე–ულობებით უზრუნველყოფს და ავლენს ბაზრის არსებულ პოტენციალს. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვში შესაძლებელია ჩაერთოს, როგორც მოთხოვნის (მომხმარებელი), ისევე მიწოდების მხრიდან (მიმ–წოდებელი, თანამშრომელი, მეწარმე).

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიურ ბიზნესს გააჩნია გარკ–ვეული თავისებურებები:

• სოციალური და კომერციული მიზნების სინერგიული შეთავსება: ინკლუზიური ბიზნესით დაკავებული კომპანიის მთავარი მისია–სიღარიბის და სოციალური პრობლემების შემ–

სუბუქება, მომგებიანი საქმიანობით ხორციელდება. რაც უფრო მეტი სარგებელი მოაქვს კომპანიას საზოგადოებისათვის, მით მეტ რესურსებს, ინვესტიციებსა და დაკვეთებს იღებს. ამ დროს მოგებული რჩება არა მხოლოდ კომპანია, არამედ მთლიანად საზოგადოება;

• სტაბილური სოციალური პერსპექტივა: ინკლუზიურ ბიზნესში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა გვევლინება ბიზნესის მონაწილედ (პარტნიორი, თანამშრომელი, მომხმარებელი, მიმწო–დებელი) და არა დახმარების ან ქველმოქმედების მიმღებად. ინკლუზიური ბიზნესი ორიენტირებულია ხელმოკლე მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის სტაბილურ, გრძელვადიან გაუმჯობესებაზე და არა ერთჯერად დახმარებაზე;

• ინოვაციურობა: ინკლუზიური ბიზნესი მიზნების მიღწევისათვის უმეტესად ახალ, უნიკალურ მიდგომებს ეყრდნობა. ამ დროს კომპანიის მიზნები მიიღწევა ეკონომიკური და სოციალური რესურსების განსაკუთრებული კომბინაციით, რომელიც ადრე ასეთი სახით არ გამოიყენებოდა. ხელმოკლე მოსახლეობას შეუძლია და მზად არის იმისათვის, რომ გადაიხადოს საქონლის და მომსახურების ფასი, თუმცა, ხშირად იჩაგრება „სიღარიბის ჯარიმის“ გამო. ზოგჯერ მათ პირველადი მოხმარების საგნებისათვის უფრო მეტის გადახდა უწევთ, ვიდრე მდიდრებს. მაგალითად, ჯაკარტის, მანილის, ნაირუბის ღარიბი უბნების მცხოვრებნი 5-10-ჯერ მეტ ფასს იხდიან სასმელ წყალში, ვიდრე ამ ქალაქის მდიდარი უბნები და კიდევ უფრო მეტს ვიდრე ლონდონის ან ნიუ-იორკის მცხოვრებნი. „სიღარიბის ჯარიმა“ მოქმედებს კრედიტების, ელექტროენერგიის და ჯანდაცვის სფეროშიც.

ბიზნესის მოდელები, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან ფასს ან ახალ პროდუქციას ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, შეიძლება საკმაოდ მომგებიანი აღმოჩდეს. მაგალითად, მიკროსესხების გამცემ ორგანიზაციებს, რომლებიც დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზეა გათვლილი, მსხვილ ბანკებზე მნიშვნელოვნად მაღალი მოგების ნორმა გააჩნიათ.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი განუხრელად იზრდება. კომპანიები დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე არსებულ დაბრკოლებებს თავს ართმე–

ვენ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: პროდუქტის და პროცე–სების ადაპტაცია, ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად.

მსოფლიო მასშტაბით ბევრი კომპანიაა ინკლუზიურ ბიზ–ნესში ჩართული. უკრაინული Vitmak-ი სწორედ ასეთი მაგა–ლითია. რამდენიმე წლის წინ, ხელმოკლე უკრაინელები–სათვის მაღალი ხარისხის ხილის წვენი დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა. Vitmak-მა უკრაინის სამ ქალაქში გახსნა წვე–ნების ქარხანა და დაიწყო პროდუქციის დაბალი ფასით გაყი–დვა. საწარმოში დასაქმებულია ადგილობრივი დაბალშემოსა–ვლიანი მოსახლეობა, ხოლო ხილს ადგილობრივი გლეხე–ბისგან იძენენ. შეთავაზებული ხელფასი საშუალო ადგილო–ბრივ ხელფასზე ერთი მესამედით მაღალია. გარდა ამისა, გლე–ხებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები, რათა შეძლონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მწარმოებლურობის ამაღლება. ამავე დროს, Vitmak-მა იმისათვის, რომ გასულიყო დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებელზე, განსაკუთრებუ–ლი ყურადღება შეფუთვის გამარტივებას მიაქცია, რაც გარე–მოზე უარყოფით ზემოქმედებასაც ამცირებს. დაბალი შემოსა–ვლების ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენის მიუხედა–ვად, Vitmak-ის გაყიდვები უკრაინის ბაზრის დაბალი ფასის სეგმენტის 30%-ს შეადგენს. კომპანიის საბაზრო წილი ბაზარზე 10 წელიწადში 7-დან 22%-მდე გაიზარდა (EUNDP, 2009).

ძალიან აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ბიზნესის პროცესში ჩართვის საკითხი. მსო–ფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2015 წლის მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 15% შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია (WHO, 2016). კვლევებით დას–ტურდება, რომ უნარშეზღუდული პირები ერთ-ერთ უღარიბეს კატეგორიას მიეკუთვნებიან. მათ სათანადოდ არ მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტსა და სხვა საარსებოდ საჭირო მომსახურებასა თუ საქონელზე. აღნიშნუ–ლი პრობლემები განსაკუთრებით გამძაფრებულია განვითარე–ბად ქვეყნებში.

აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის მიმართულებით ერთ-ერთი გამორჩეული კომპანია Starbucks-ია. ის სხვადასხვა სახე–ობის ყავას აწარმოებს და მსოფლიოში ყველაზე დიდი გასა–ღების ქსელი გააჩნია. Starbucks-ი უკვე 27 წელია თანა–

მშრომლობს უნარშეზღუდულ პირებთან. კომპანია წელი–წადში საშუალოდ 15 უნარშეზღუდულ პირს ასაქმებს, რაც ერთ-ერთ საუკეთესო შედეგად ითვლება, სწორედ ამიტომ, 2014 წელს Starbucks-ი წლის საუკეთესო ინკლუზიურ კომპა–ნიად დასახელდა. უნარშეზღუდული პირები, თავისი შესა–ძლებლობების შესაბამის პოზიციებზე საქმდებიან, მათ პე–რიოდულად უტარდებათ ტრენინგები, კომპანიაში არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მეგობრული გარემო. Starbucks-ის დევიზებია: „თუ შენ სტარბაქსის მომხმარებელი ხარ, ყოველი შენაძენით ეხმარები ჩვენთან დასაქმებულ უნა–რშეზღუდულ პირებს“, „ჩვენი წარმატება დაკავშირებულია იმ ფერმერების წარმატებასთან, რომლებსაც მოჰყავთ მოსავალი ჩვენთვის“. მსგავსი მოწოდებები კომპანიის მარკეტინგული სტიმულირების კამპანიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია და ლოიალურად განაწყობენ მომხმარებლებს, რაც გაყიდვე–ბისა და შემოსავლების ზრდის წინაპირობაა (Starbucks, 2017).

2015 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით, დასახე–ლდა 10 საუკეთესო კომპანია, რომლებიც აქტიურად რთავენ უნარშეზღუდულ პირებს ბიზნესში: Prudential Financial, Procter & Gamble, IBM, KPMG, Merck & Co, AT&T, Sodexo, Kaiser Permanente, Comcast NBCUniversa, Northrop Grumman (Diversityinc, 2015).

ინკლუზიური ბიზნესის (ეკონომიკის) განვითარების მიმა–რთულებით როგორც შესაძლებლობები, ასევე სირთულეები, ძალზე ბევრია. სოფლის დასახლებები და ქალაქის ღარიბი უბნები ბიზნესის წარმოებისათვის არ წარმოადგენს ხელსა–ყრელ ადგილს (Södergren, 2016). არ არის განვითარებული ან საერთოდ არ არსებობს საჭირო ინფრასტრუქტურა, ღარიბების სამყაროში არ მოქმედებს ფინანსური სისტემა, ეკონომიკა ბარ–ტერსა და ნაღდ ანგარიშსწორებას ეფუძნება. საიმედო სამართლდამცავი და იურიდიული სისტემის არ არსებობის გამო გარიგებები არაფორმალურ ხასიათს ატარებს (EUNDP, 2009).

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში კომპანიების უმრავლესო–ბას არ გააჩნია შესაძლებლობა ბიზნესი ჩვეული, სტანდარ–ტული სცენარით წარმართოს. შეიძლება გამოიყოს ხუთი ძი–

რითადი მიმართულება, რომლის გამოც კომპანიები ერიდები–ან ხელმოკლე მოსახლეობასთან საქმის დაჭერას:

• შეზღუდული ინფორმაცია ბაზრების შესახებ. მეწარმეებმა ძალიან ცოტა იციან ღარიბების შესახებ, მათ შორის- სამო–მხმარებლო მისწრაფებები, ფინანსური შესაძლებლობები, მა–თი, როგორც დაქირავებული მუშაკის, მწარმოებლის, მეწარმის მახასიათებლები;

• არაეფექტიანი რეგულირება. დაბალშემოსავლიანი მოსა–ხლეობის ბაზრებზე ხშირად არ არსებობს მარეგულირებელი მექანიზმები, რაც ბიზნესის ფუნქციონირებას უსაფრთხოს გა–ხდიდა. არ არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი ნორმე–ბის და ხელშეკრულების პირობების დაცვა;

• განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. ტრანსპორტით, წყლით, ელექტროენერგიითა და კავშირგაბმულობით უზრუნ–ველყოფის სისტემის განუვითარებლობა;

• ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობა. დაბალშემო–სავლიანმა მომხმარებელმა შესაძლოა არ იცოდეს გლობალი–ზაცია და ბიზნესი.

• შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ მომსახურე–ბაზე. საბანკო კრედიტის შეზღუდულობა მკვეთრად ამცირებს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შესაძლებლობებს განახო–რციელოს ინვესტიციები ან მსხვილი შესყიდვები. საბანკო ანგარიშსწორების სისტემის ხელმიუწვდომლობა ზრდის გა–რიგების განხორციელების დანახარჯებს და რისკს.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი განუხრელად იზრდება. კომპანიები და–ბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე არსებულ დაბრკო–ლებებს თავს ართმევენ სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. შეიძლება გამოვყოთ ხუთი ძირითადი სტრატეგია: პროდუ–ქტის და პროცესების ადაპტაცია, ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეებით სარგებლობა, სტრატეგიული ალიანსების ფორმირება და დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშა–ვების საკითხებზე (EUNDP, 2009).

რა თქმა უნდა, ეს სტრატეგიები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ პირობებსა და საწარმოს მიზნებს. ამასთან,

აუცილებელი კომპონენტი თავად მეწარმის ინტუიცია და ანა–ლიტიკური აზროვნების უნარია. პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია გულისხმობს საბაზრო ბარიერების გადალახვას ახალი ტექნოლოგიების და ბიზნესპროცესების რეორგანიზე–ბის გზით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები იძლევა ასეთი ადაპტაციის საშუალებას, მათ შორის- მობი–ლური ბანკინგი, სმარტბარათები, ტელემედიცინა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დისტანციური მომსახურება. მობილურმა ბანკინგმა შესაძლებელი გახადა ოფისების და ბან–კომატების (ინფრასტრუქტურა, რომელიც იშვიათია ღარიბთა დასახლებებში) გარეშე განხორციელდეს ფინანსური მომსახუ–რება.

თანამედროვე პირობებში, მობილური ტელეფონი მომხმა–რებელს საშუალებას აძლევს განახორციელოს ფულადი გადა–რიცხვები, აანაზღაუროს შეძენილი საქონლისა და მომსა–ხურების ღირებულება, დაფაროს კრედიტის თანხა.

ინოვაციური ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შემცი–რდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენება და გაიზარდოს მწარმოებლურობა.

ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად შეიძლება განხორციელდეს როგორც საკუთარი რესურსებით, ასევე თანადაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ჩავა–რდნის დაძლევა, როგორც წესი, მთავრობის საქმიანობის სფე–როდ მიიჩნევა, ხშირად ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე კომპანიები თავად წყვეტენ ასეთ ამოცანებს. ასეთმა ინვესტიციებმა შეიძლება უზრუნველყოს როგორც საზოგა–დოებრივი, ასევე კერძო უპირატესობები. მაგალითად, თანა–მშრომლების სწავლებით საწარმო ამაღლებს კადრების კვა–ლიფიკაციას და იმყარებს საკუთარ პოზიციებს, ამასთან, კვა–ლიფიციურ კადრებს უფლება აქვთ გადავიდნენ სხვა კომპა–ნიებში სამუშაოდ, რითაც მთლიანად საზოგადოება სარგე–ბლობს.

დამატებითი სოციალური სარგებლის არსებობა სხვა დაი–ნტერესებული ინსტიტუტების მხრიდან თანადაფინანსების პერსპექტივებს წარმოშობს. ასეთი ინსტიტუტები, მათ შორის დონორები, მეცენატები, არაკომერციული სოციალური საინვე–

სტიციო ფონდები, მთავრობა, კერძო სექტორს საშუალებას აძლევს თანადაფინანსებით (გრანტები, სუბსიდიები, შეღავა–თიანი კრედიტები) შექმნას სოციალური პროდუქტი. დაბა–ლშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეების გამოყენება, მათი ბიზნესში უშუალო ჩართვით ან სოციალური ქსელების მეშვეობით, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა.

როგორც წესი, დაბალშემოსავლიანი ადამიანები ინკლუზი–ური ბიზნესის მოდელით მომუშავე საწარმოს საკვანძო პარ–ტნიორებია. ხელმოკლე მოსახლეობის მიზიდვით და მათი სოციალური ქსელების გამოყენებით კომპანიებს, დანახარჯე–ბის შემცირების გარდა, შეუძლიათ გაიუმჯობესონ ბაზრის ხელმისაწვდომობა, ნდობა და გამჭვირვალება. ხელმოკლე მო–სახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმატებისათვის უმნიშვნე–ლოვანესია ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების ცოდნა და ნდობა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ხელმოკლე მოსა–ხლეობის აქტიური ჩართვით ბიზნესში, იქნება ეს ბაზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პროდუქტის აწყობა და შეკეთება, მომარაგება თუ სწავლება. გარდა ამისა, ხშირად თავად ხელმოკლე ადამიანებს უჩდებათ ინოვაციური იდეები ახალი საქონლისა ან მომსახურების შექმნასთან დაკავშირე–ბით, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს ღარიბი მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

სტრატეგიული ალიანსების ფორმირებით ინკლუზიურ ბი–ზნესს შეუძლია მიიღოს ის რესურსები და შესაძლებლობები, რომლებიც საწარმოს დამოუკიდებლად არ გააჩნია. ასეთი თა–ნამშრომლობა საერთო მიზნის მქონე საწარმოების რესურსების გაერთიანებას ემყარება. ალიანსმა შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღოს: დაპატენტებულ ტექნოლოგიებზე ლიცენზიების გა–ცვლა, საწარმოო სიმძლავრეების ერთობლივი გამოყენება, კვლევების ერთობლივი დაფინანსება, პარტნიორის პროდუ–ქციის გასაღება საკუთარი ქსელების მეშვეობით და ა.შ. სტრატეგიული ალიანსები იქმნება როგორც საპასუხო რეაქცია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებისათვის დამახა–სიათებელ სირთულეებზე და ინკლუზიური ბიზნესის განვი–თარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა.

დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკი–თხებზე უმნიშვნელოვანესი ელემენტია ხელმოკლე მოსახლე–ობასთან ბიზნესის წარმოებისას. ყველა ის პრობლემა, რომე–ლსაც ბიზნესი აწყდება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე საქმიანობისას, მეტ–ნაკლებად დაკავშირებულია სა–ხელმწიფო პოლიტიკასთან. ხშირ შემთხევაში საწარმო ნახუ–ლობს შემოქმედებით გზებს, რათა დაძლიოს ბაზარზე არსებუ–ლი პრობლემები.

ბიზნესის ზოგიერთ მიმართულებაში საბაზრო სირთულე–ების დაძლევა კერძო ინიციატივებით შეუძლებელია, ამიტომ, მათი სტრატეგია მთავრობასთან დიალოგია. ეს რთული და ხანგძლივი პროცესია, რომელში მონაწილეობითაც ბიზნესს შეუძლია მთავრობას მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე. ხშირად ასეთ დიალოგს შეიძლება მარეგულირებელი ნო–რმების გამყარებაც მოჰყვეს, რაც ხელმოკლე მოსახლეობის ბაზრებზე ბიზნესის წარმოებას გაამარტივებს.

ამრიგად, ინკლუზიურ მოდელს ბიზნესისათვის მოაქვს არა მარტო მოგება და მაღალი შემოსავლები, ის ასევე უზრუ–ნველყოფს ახალი მომხმარებლის მოზიდვას, დასაქმების ზრდას, პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის არხების გაძლიერებას. დაბალი შემოსავლების ადამიანებს ინკლუზი–ური ბიზნესი საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები, მოიპოვონ სტაბილური შემოსავალი და აამა–ღლონ პროდუქტიულობა. გარდა ამისა, ინკლუზიური ბიზნე–სის მოდელი უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაცი–ონალურ გამოყენებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუ–მჯობესებას.

განვითარებულ ქვეყნებში ინკლუზიური ბიზნესის აღმა–ვლობა გაპირობებულია საზოგადოების წარმატებული წევ–რების სოციალური აქტიურობის, პასუხისმგებლობის ზრდით, სოციალურად ორიენტირებული ფასეულობების გავრცე–˜ლე–ბით, სამეწარმეო პრაქტიკისა და სოციალური მისიის წარმა–ტებული კომბინაციით. ამიტომ, საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე დადებითი ძვრები თავისთავად ემსახურება ინკ–ლუზიური ბიზნესის განვითარებას.

თუ გავითვალისწინებთ ქართული წარმატებული კომპანი–ებისათვის დამახასიათებელ სოციალური პასუხისმგებლობის მზარდ ტენდენციას, ქართველების მისწრაფებას სწრაფად აუ–წყონ ფეხი მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ ტენდენციებს, ასევე იმას, რომ ინკლუზიური ბიზნესის მხარდაჭერა ისეთივე რენტაბელურია როგორც ქველმოქმედება, ამავდროულად უფ–რო თანამედროვე და ეფექტიანი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინკლუზიურ ბიზნესს საქართველოში კარგი პერსპექტივა გაა–ჩნია.

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ჟურნალის „აგრარულ–ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა (განყოფილებები)

I. ზოგადი მიწათმოქმედება.
II. მემცენარეობა.
III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა.
IV. ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია.
V. მელიორაცია და ირიგაცია.
VI. მცენარეთა დაცვა.
VII. მექანიზაცია და ელექტიფიკაცია.
VIII. აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.
IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
XI. მეცხოველეობა.
XII. ვეტერინარია.
XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
XIV. ეკონომიკა და ბიზნესი.
XV. აგრარული ეკონომიკა.
XVI. ეკონომიკური თეორია.
XVII. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.
XVIII. მსოფლიო ეკონომიკა.
XIX. ნორმატიულ-საცნობარო მასალები.
XX. საკონსულტაციო დარბაზი.
XXI. სადისკუსიო კლუბი.
XXII. უწყვეტი სწავლების დარბაზი.
XXIII. საინფორმაციო მაცნე.
XXIV. აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.
XXV. გამოჩენილი აგრარიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
XXVI. სიტყვა აკადემიკოსს.
XXVI. კომპეტენტური აზრი.
XXVII. დოქტორანტთა დარბაზი.
XXVIII. ბაკალავრთა დარბაზი.
XXIX. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
XXX. საკითხის დასმა.

შინაარსი–CONTENTS

გვ.

1. **აგრარული ეკონომიკა-Agrarian Economy** 5

ომარ ქეშელაშვილი-სოფლის მეურნეობის ოპტიმალური და მდგრადი განვითარების მოდელირება .....

O. Keshelashvili-Modeling of Sustainable and Optimum Development of Agriculture 14

მანანა შალამბერიძე-პრობლემები, რომლებიც აგრარული სფეროს განვითარებას აფერხებს 15

Manana Shalamberidze-Problems that aggravate the development of the agricultural sector 17

2. **ეკონომიკა და ბიზნესი- Economics and Business** 18

მ. ლუარსაბიშვილი. მ. ლომიშვილი-გადასახადები და მათი როლი ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში 18

M. Luarsabashvili, M. Lomishvili-Taxes and their role in fiscal policy To formulate 24

დალი სილაგაძე-სასოფლო სამეურნეო კოპერატივების მნიშვნელობა აგრობიზნესის განვითარებისთვის 25

Dali Silagadze- The importance of agricultural cooperatives for the development of agribusiness 31

3.**კვების მრეწველობა- Food Industry** 32

ელენე კალატოზიშვილი, მედეა ორმოცაძე, ლია კოტორაშვილი, მარინა კერესელიძე- ბუნებრივი ბიოსტიმულატორების გავლენა მაღალხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობაზე... 32

Elene kalatozishvili, Medea Ormotsadze, lia Kotorashvili, Marina Kereselidze-The effect of natural biostimulator on high quality grafted seedling 36

4. **მეტყევეობა Forestry** 37

ანზორ მესხიშვილი–კურორტი ბახმარო და მისი ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა 37

Anzor Meskhishvili-Resort Bakhmaro and Its Forest Resort Value 40

5. **მემცენარეობა-plant-industry** 41

ზეინაბ ახალაძე-სოიოს, როგორც ცილოვანი პროდუქტების წარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში 41

Z. Akhaladze-Soy as a protein products to produce modern Condition in Georgia 46

6. უწყვეტი სწავლების დარბაზი-Continuous Studying Hall(ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) 47
ლექცია 21 დარგობრივი ბიზნესის ორგანიზაცია 47
21.4. ბიზნესის ორგანიზაცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 47
21.5. ბიზნესის ორგანიზაცია ვაჭრობასა და მომსახურე სფეროში 50
5. ტერმინები-Terms (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili) 54
7.1. შრომა 54
7.2. შემოსავლის წყაროები 55
7.3 ეკონომიკური კანონები და კატეგორიები 56
7.4. ეკონომიკური მეცნიერების კლასიფიკაცია 58
7.5. ბაზრის სისტემა 60
7.6. ფასი, ფასწარმოქმნა, ღირებულება 61
7.7. ფული 63
7.8. საკუთრების ფორმები 66
7.9. დასაქმება და უმუშევრობა, სიმდიდრე და სიღარიბე 67
7.საკითხის დასმა-Problem Statemment 69
ომარ ქეშელაშვილი-ინკლუზიური ბიზნესი 69
შინაარსი–CONTENTS 80

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა–5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx– 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMtavrPS –11, ფორმატი Pege Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0;), ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს **რეფერატი** (ინტერნეტული ვერსია–0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად.

2019 წლის II კვარტალი

ტექნიკური რედაქცია:
გ.მოსაშვილი-აკადემიური დოქტორი-ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ინგლისური ვერსია-ი.ბახტაძე, თ. ეპიტაშვილი.

ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

ჟურნალის გამოცემის მხარდამჭერები არიან:
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი აკადემიკოსი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი).

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5.5